ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 22 ოქტომბერი, 2018 №250 (7795) ფასი: 60 თეთრი

„მუშას ფეხებზე თითები არ ჰქონდა და ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო“

რუსთავში აფეთქების შედეგად 12 ადამიანი დაშავდა

გვ.6

გაჩვენებთ, როგორ აპატიმრებენ პრეზიდენტობის კანდიდატს

ზურაბ ჯაფარიძემ დანაპირები შეასრულა

გვ.5

ლომისის მონასტრიდან რუსებმა ბერ-მონაზონი გაიტაცეს

გიორგი ლაფანაშვილი: „რუსეთმა, შესაძლოა, დუშეთის ნაწილი და ყაზბეგი საქართველოს მოსწყვიტოს“

გვ.4

ლადო სადღობელაშვილი: „სააკაშვილს „ოცნების“ დასრულება ერთი სიტყვით შეუძლია“

„ოცნებაში“ გახარიას ებრძვიან“

„გახარია კარგი ვანო მერაბიშვილია“

გვ.2

ლია მუხაშავრია: „ნაციონალები რევანშის აღებას ცდილობენ“

„ივანიშვილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით თავის გუნდს მოიშორებს“

გვ.3

სამართალი

გვ.7

გიორგი დეკანოიძის გატაცებაში ასტამურ შამბაა გარეული?

გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული ხვიჩა შარაშენიძის საქმე თავდაყირა დგება

ჯარისკაცს აგენტ-პროვოკატორი მიუგზავნეს?

გვ.6

გვ.6

გიორგი გახარია: „მირზა სუბელიანის თემას მოვიკვლევთ“

შს მინისტრი მოზარდების მკვლელობის საქმის მოწმის მოსყიდვას ეხმაურება

გვ.7

ბათუმში დედამ 2 თვის შვილი გაყიდა

ხულოში ხანძარში დაიღუპნენ 76 წლის შშმ კაცი და 20 წლის გოგონა, რომელიც მის გადარჩენას ცდილობდა გვ.7

ISSN 1987-9385

5 ელშან ჰასანოვი: „ბოლტონი მუხთარლის საკითხით უნდა დაინტერესდეს“

4 გურჯაანში ღვინის უნივერსიტეტი გაიხსნება

3 უჩა ნანუაშვილი: „ჩანაწერების გამოქვეყნება ორივე მხარემ უნდა შეწყვიტოს“

8 აშშ რუსეთთან დადებული სარაკეტო შეთანხმებიდან გადის

„ოცნებაში“ გახარიას ებრძვიან“

შორენა მარსაგიშვილი

ლადო სადღობელაშვილი: „სააკაშვილს „ოცნების“ დასრულება ერთი სიტყვით შეუძლია“

რატომ თქვა „ოცნებამ“ ნაციონალების დასჯაზე უარი, როგორ შეუძლია სააკაშვილს ხელისუფლების დასრულება, რატომ თქვა გიორგი გახარიამ პრემიერობაზე უარი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– დიდი ხანია ვამბობ, რომ ნაციონალებსა და „ოცნებას“ ერთმანეთი ჰაერივით სჭირდებათ. ეს რომ ასეა, ამაში ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მიხეილ სააკაშვილს რომ მართლა უნდოდეს „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება, ამას ძალიან მარტივად და მშვიდობიანად გააკეთებდა. ამას არც აქციები დასჭირდებოდა და არც სკანდალური ჩანაწერების გამოქვეყნება.

– ასეთი მარტივია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან ჩამოშორება?

– სააკაშვილი თუ იმ ნაბიჯს გადადგამს, „ოცნება“ მაშინვე ჩამოიშლება.

– რა ნაბიჯია ამისთანა?

– გამოაცხადოს ნაციონალური მოძრაობის ლიკვიდაცია, თავადაც წავიდეს პოლიტიკიდან და ამით დამთავრდება ყველაფერი.

„ქართული ოცნება“ დღეს რომ ხელისუფლებაშია, ეს ნაციონალური მოძრაობის დამსახურებაა. როგორც კი ნაციონალები გაქრებიან, „ოცნებაც“ გაქრება. „ოცნების“ გაქრობის შემთხვევაში კი ნაციონალური მოძრაობა გაქრება. 2012 წელს „ოცნებამ“ შეინარჩუნა ეგენი, თორემ მათ ქართველი ხალხი საკადრისს განაჩენს გამოუტანდა.

ამ ორ პარტიას ერთმანეთი ჰაერივით სჭირდება და ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ რომელიმე მათგანი არ დაიშალოს,.

– მათ შორის არსებული დაპირისპირება ბლეფია?

– ხშირ შემთხვევაში ბლეფია, ზოგჯერ მართლა უპირისპირდებიან ერთმანეთს. ეს მაშინ ხდება, როცა გავლენის სფეროებს ვერ ინაწილებენ. სხვა შემთხვევაში ძალიან კარგად თანამშრომლობენ.

– შემთხვევით ამ თანამშრომლობის შედეგი ხომ არ არის ისიც, რომ დამნაშავეები არ დასაჯეს?

– ეს მარტო თანამშრომლობის შედეგი არ არის. ისინი იმიტომ არ დასაჯეს, რომ შემდეგ მათაც ჰქონოდათ ფულის მოპარვის შესაძლებლობა. ნაცებს ყველაზე მეტად ხელი გიორგი კვირიკაშვილმა დააფარა. მისი პროექტი იყო „ევროპული საქართველო“.

ხალხს ატყუებენ, ნაცები დავშალეთო, სინამდვილეში კიდევ უფრო გააძლიერეს.

– ნაცების გაძლიერება რით გამოიხატება?

– ადრე ამ პარტიას ჰქონდა ამომრჩევლის 20%-იანი მხარდაჭერა. ახლა ნაციონალებს აქვთ 20%, „ევროპულ საქართველოს“ – 7%. საბოლოო ჯამში მათ 27% მიიღეს. ამას ეძახის „ოცნება“ დაშლას? ეს დაშლა კი არა, ნაციონალების გაძლიერებაა. საქმე საქმეზე რომ მიდგება, ეს ორი პარტია ისევ გაერთიანდება.

ნაციონალები მაგარ პრესში მაშინ იყვნენ, როცა ირაკლი ღარიბაშვილი იყო მთავრობაში. ის ყველანაირად ცდილობდა, რომ ისინი პოლიტიკური ველიდან გაეყვანა, მიზანს თითქმის მიაღწია, მაგრამ მერე აღარ აცალეს.

– მიზნის მიღწევაში რას გულისხმობთ? ნაციონალები ღარიბაშვილის დროსაც მშვენივრად გრძნობდნენ თავს.

– ვერ დაგეთანხმებით. ნაციონალებიდან თუ ვინმე გაასამართლეს, ეს მაშინ მოხდა, როცა ღარიბაშვილი იყო მთავრობაში. მისი შს მინისტრობის და პრემიერობის დროს ნაცები მაგარ წნეხში იყვნენ, ხმას საერთოდ ვერ იღებდნენ. მათ გიორგი კვირიკაშვილის გაპრემიერების შემდეგ ამოისუნთქეს.

ახლა მათ ისევ ცუდი დრო დაუდგათ. გიორგი გახარიამ ეგენი მაგარ წნეხში მოაქცია. მათი საქმე ცუდად მიდის.

– რით გამოიხატება, რომ ნაცები გახარიამ წნეხში მოაქცია?

– ყველაფრით. ყველა მაგას ღანძღავს.

– ყოფილი ხელისუფლება მთელ „ქართულ ოცნებას“ ღანძღავს.

– გახარიას განსაკუთრებულად ღანძღავენ. არადა, კარგად მახსოვს, რა განწყობა იყო, როცა ის შს მინისტრი გახდა. ნაცები და მათი მედიასაშუალებები ერთხმად აქებდნენ გახარიას. ყველას ღანძღავდნენ, მაგრამ შს მინისტრით კმაყოფილი იყვნენ. ბოლო დროს კი ის არის მათი მთავარი კრიტიკის ობიექტი. ეს იმას ნიშნავს, რომ შს მინისტრმა ისინი მიპრესა და რატომღაც მგონია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია.

„გახარია კარგი ვანო მერაბიშვილია“

– რა ნიშნავს ეს მხოლოდ დასაწყისია?

– შს მინისტრმა საკმაოდ ნათლად განაცხადა, რომ მას ყველაზე და ყველაფერზე აქვს ინფორმაცია. მან ძალიან კარგად იცის, თუ რას გეგმავენ ნაცები. მისმა ამ განცხადებამ გაჭრა და ნიკა გვარამია ძველებური რიხით ვეღარ ლაპარაკობს. გიორგი გახარიამ ის თავის მართლების რეჟიმში გადაიყვანა.

– რაში ან როდის იმართლა გვარამიამ თავი?

– ეს დღეები სულ იმას აანონსებს, რომ მისი და სააკაშვილის საუბრის ჩანაწერები უნდა გამოქვეყნდეს. ეგ და სააკაშვილი რომ კარგს არაფერს ილაპარაკებდნენ, ამაში დარწმუნებული ვარ. თავი რომ დაიზღვიოს, წინასწარ გვეუბნება, რომ საუბარი იქნება დამონტაჟებული.

მისი საყვარელი პარტია ახლა სერიოზული წნეხის ქვეშ არის. ეს მხოლოდ მისასალმებელია. სამწუხარო მხოლოდ ისაა, რომ ამ პარტიას ძირითადად არჩევნების წინ აყენებენ ჩოქბჯენში.

– მიხეილ სააკაშვილი ამბობს, რომ დღეს ივანიშვილი და „ოცნებაა“ ჩოქბჯენში.

– მიშას ძალიან უყვარს ეს ტერმინი, ჰოდა ახლა მისი პარტიაა მისთვის საყვარელ პოზაში. ვიმედოვნებ, რომ ეს პროცესი არჩევნების შემდეგაც გაგრძელდება. სავარაუდოდ, ასეც იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში გახარიას ასე არ გალანძღავდნენ.

არადა, თავიდან ყველას უყვარდა. არ ვიცი, ეს გეგმის ნაწილი იყო, თუ რამე მოლაპარაკებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ, საბოლოო ჯამში, გახარია, კარგი გაგებით, დიდი შებერტყილი აღმოჩნდა. მან ნაციონალები და მათი ნიკა გვარამია მოაქცია ხაფანგში. გამოქვეყნდება ჩანაწერები და ვნახავთ, რასაც გეგმავდნენ ნაცები.

– 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინაც მოგვასმენინეს სკანდალური ჩანაწერები, გვიმტკიცებდნენ, რომ ისინი არეულობას აპირებდნენ. სუსმა საქმეც აღძრა, მაგრამ დამთავრდა არჩევნები და ეს ამბავიც დასრულდა. ახლა სხვანაირად იქნება საქმე?

– მაშინ შს მინისტრი არ იყო გიორგი გახარია. მთავრობის მეთაური კიდევ მათი მფარველი გიორგი კვირიკაშვილი იყო. ახლა ისინი ჩოქბჯენში არიან და თავს ვეღარ დაიძვრენენ.

– თავის მართლება ჯერჯერობით „ოცნებას“ უწევს, რუსთავი 2-ის ეთერში გასულ ჩანაწერებს დიდი სკანდალი მოჰყვა.

– ძალიან ცუდია, რომ ასეთი რამე მოხდა, გვარამია იყო მთავარი პროკურორის მოადგილე. მან შესანიშნავად იცის ნაცების „ასკოლკების“ შესახებ, რომლებიც დღევანდელ ხელისუფლებაში არიან ჩაბუდებული. ამ ჩანაწერებს ის მათგან იღებს.

– ცუდი ის არის, რაც ხდება თუ ისაა ცუდი, რომ ამის ამსახველი მასალები რუსთავი 2-ის ხელში მოხვდა?

– ერთიც ცუდია და მეორეც. მინდა, საზოგადოებასაც ვკითხო, რატომ დაივიწყეს ყოფილი ჩინოსნების სასახლეები. დღეს ყველა „ოცნების“ წევრების სასახლეებზე საუბრობს.

– და რატომ არ უნდა ილაპარაკონ?

– ილაპარაკონ. მაგრამ ახალაიების სასახლეებსაც ნუ დაივიწყებენ. არ მესმის, რატომ ატყდა ამხელა ამბავი ზვიად ძიძიგურის სახლზე? კაცი ამდენი მოწვევის პარლამენტის წევრია, მაღალი ხელფასი აქვს და რაღაცას როგორ ვერ მოახერხებდა. პირადად მე მოსამართლეების სასახლეები მაღიზიანებს. მაინტერესებს, სად იშოვეს ამათ ამდენი ფული? კი ვიცი, როგორც იშოვეს, მაგრამ დაასაბუთონ, რა გზებით დააგროვეს ამხელა ქონება.

ჩანაწერების თემაზე ვსაუბრობთ და სინანულით მინდა ვთქვა, რომ მმართველი გუნდიდან ძალიან ბევრი საიდუმლო ჟონავს. ეს ინფორმაციები ყოფილ ნაციონალებს გამოაქვთ, რომლებიც მმართველ პარტიაში მრავლად არიან.

როგორც ამბობენ, საკადრო პოლიტიკას ივანიშვილი განსაზღვრავს. ძალიან მაინტერესებს, ვის რჩევებს ითვალისწინებს ის, როცა ხალხს თანამდებობაზე ნიშნავს.

– თქვენი აზრით, ვინ უწევს მათ რეკომენდაციას?

– ვერ გეტყვით, მაგრამ „ოცნებაში“ ძალიან ბევრმა საეჭვო პირმა მოიყარა თავი. მაგალითად, ავიღოთ მირზა სუბელიანი. სუბელიანი იყო ადამიანი, რომელმაც ნაცების დროს უამრავი ადამიანი გაუშვა ციხეში. მის მიერ ციხეში გაშვებული 5 ადამიანი „ოცნებამ“ 2012 წელს პოლიტპატიმრის სტატუსით გაათავისუფლა.

არ მინდა კონკრეტულ სახელებზე და გვარებზე ვისაუბრო, მაგრამ საკადრო პოლიტიკაში ძალიან აგებს „ქართული ოცნება“. ჰგონიათ, რომ შეწოვილი ჰყავთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგრამ ყველაფერი პირიქით არის.

რამდენიმე თვე პატიმრობაში გავატარე და ვიცი, რა ხდება ციხეებში. იქ ბადრაგები და სხვა პერსონალი ბაჩო ახალაიას დროის დაბრუნებაზე ოცნებობენ.

– ამის მიზეზი რა არის?

– მათ ჯალათობა უნდათ. ამ ჯალათობისთვის ძველი ხელისუფლება დიდ პრემიებს იძლეოდა. ესენი იდეურადაც ნაციონალები არიან და მათ უბრალოდ ვერ შეცვლი.

დარწმუნებული ვარ, რომ მირზა სუბელიანის სკანდალური საუბარი ასეთმა ნაციონალმა ჩაიწერა და მანვე მიაწოდა რუსთავი 2-ს. ძალოვან სტრუქტურებში ასეთი ტიპები რომ ჰყავთ დასაქმებული, მერე არ უნდა გაუკვირდეთ, რომ საიდუმლო ინფორმაციები ჟონავს.

ადრე ნაციონალებს შსს-დანაც მოსდიოდა ინფორმაციები, მაგრამ ახლა ეგ „კანალი“ მაგათთვისაც დაიხურა. ამიტომაც არის, რომ გახარიას ასე ძალიან უჩმახებენ.

– ამ ჩანაწერებიდან თუ ვიმსჯელებთ, გახარიას „ოცნებაც“ უჩმახებს. ფაქტია, რომ ის პრემიერის პოსტზე განიხილებოდა და ბოლოს რიგით მინისტრად დარჩა.

– გახარიაა რიგითი მინისტრი? შს მინისტრობა პატარა საქმე არ არის. ეს შექმნილი ვითარებიდანაც კარგად ჩანს. მამუკა ბახტაძეს კაციშვილი აღარ ახსენებს, ყველა გახარიაზე ლაპარაკობს.

რაც შეეხება პრემიერის პოსტს, ამ თანამდებობაზე მან თავად თქვა უარი.

– უარი რატომ თქვა, ასე ხელწამოსაკრავია პრემიერის პოსტი?

– ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა. პრემიერი რას აკეთებს, არ ვიცი, მაგრამ შს მინისტრი ქვეყანაში ბევრ რამეს წყვეტს.

– ამიტომ დარჩა გახარია შსს-ში?

– არ ვიცი, რატომ დარჩა, მაგრამ ფაქტია, რომ დარჩა და ნაცების რეაქციიდან თუ ვიმსჯელებთ, მისი გადაწყვეტილება მისასალმებელია.

– ამ თანამდებობაზე გახარიას გამოჩენა „ოცნების“ წევრების ნაწილსაც არ გახარებია. მათ სხვა ადამიანი უნდოდათ შს მინისტრად.

– ვინ უნდოდათ, კობა ნარჩემაშვილი?

– მამუკა მდინარაძეზეც იყო საუბარი.

– გახარია ნამდვილად არ უნდოდათ შს მინისტრად. ეტყობა, გრძნობდნენ, რომ ის ასე იოლი სამართავი არ იქნებოდა.

– ვინ ეწინააღმდეგებოდა მის გამინისტრებას?

– მათ გვარებს ახლა არ გეტყვით, მაგრამ დეტალურად ვიცი, რა უთანხმოებაც იყო გუნდში ამის გამო. „ოცნება“ რამდენიმე დაჯგუფებად არის დაყოფილი და მათ ლამის დახოცეს ერთმანეთი შს მინისტრის სავარძლის გამო.

გახარიას წინააღმდეგ „ოცნების“ საპარლამენტო გუნდს არაფერი ჰქონია, მაგრამ კულუარებში მყოფებმა თავი გაიგიჟეს. „ოცნებაში“ არიან ადამიანები, რომლებიც კულუარებიდან მართავენ სიტუაციას.

– გამოდის, რომ კულუარებში, ივანიშვილის გარდა, სხვებიც ყოფილან.

– არიან და მათ სერიოზული გავლენები აქვთ, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერაფერს გახდნენ. მერე გადაწყვიტეს, რომ ის მინისტრის რანგში მიეპრისათ, მაგრამ არც ეს გამოუვიდათ. ის ძალიან მაგარი პიროვნება აღმოჩნდა.

– შს მინისტრით აღფრთოვანებული ხართ თუ მეჩვენება?

– იმ პოლიტიკით ვარ კმაყოფილი, რასაც ეს ადამიანი ატარებს. საუბარი მაქვს ნაცების მიპრესვაზე. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ გახარია არის კარგი ვანო მერაბიშვილი.

– გახარიათი ასეთი აღფრთოვანებული ხართ და მაინტერესებს, რას ფიქრობთ მის დამოკიდებულებაზე კანაფთან დაკავშირებით. თქვენ კანაფის ლეგალიზაციის წინააღმდეგი ხართ, გახარია კი კანაფის კულტივაციას უჭერს მხარს.

– გახარიას პოლიტიკა ამ მხრივაც მისასალმებელია. ეს პიროვნება ნარკოტიკებს ებრძვის.

– რანაირად ებრძვის, კაცი პირდაპირ ღაღადებს, რომ კანაფის ექსპორტზე გასვლა გარდაუვალია.

– ეს თემა ხელოვნურად არის აგორებული. „ქართულ ოცნებას“ ამით რაღაცის გადაფარვა სურს. ამათ მართლა რომ უნდოდეთ კანაფის ექსპორტზე გატანა, გახარია ნარკოტიკებს ასე ხმალამოღებული არ დაუწყებდა დევნას.

რომან კაკულია: „ლარს ერთი დიდი და ქრონიკული დაავადება სჭირს“

ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებებთან დაკავშირებით მმართველ გუნდს პოზიტიური მოლოდინი არ აქვს. საპარლამენტო უმრავლესობაში აღიარებენ, რომ უახლოესი პერიოდის განმავლობაში ეროვნული ვალუტის რყევა გაგრძელდება.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, რომან კაკულია ლარის კურსის რეკორდულად გაუფასურებას ეხმაურება. რომან კაკულიას თქმით, ეკონომიკურმა გუნდმა აუცილებლად უნდა შეიმუშაოს გრძელვადიანი გეგმა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

– ჩვენს ლარს სჭირს ერთი დიდი და ქრონიკული დაავადება, რაც არის, რა თქმა უნდა, ჩვენი გაცვლითი კურსში გამოხატული, ეს გახლავთ, ჩვენი სავაჭრო ბალანსი, რომლის მყისიერი ცვლილება შეუძლებელია და ამიტომ ის მოწყვლადია. ჩვენს ლარს სჭირს ჩვენი ეკონომიკის დღევანდელი მდგომარეობა, რომელსაც ემატება შემდეგ, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე საგარეო ფაქტორები. აქ თამაშობს ძალიან დიდ როლს უკვე ამ ყველაფრის გამო ჩამოყალიბებული მოლოდინი და ნაკლები ნდობა ლარის მიმართ და ამ ყველაფერს სჭირდება გრძელვადიანი მკურნალობა, – განაცხადა რომან კაკულიამ.

2018 წლის პირველი იანვრიდან დღემდე ლარი ასეთი გაუფასურებული ჯერ არ ყოფილა, კომერციულ ბანკებში ერთი დოლარის შესაძენად ორი ლარი და 74 თეთრია საჭირო. ბლუმბერგის მონაცემებით, ლარი გაუფასურების ტენდენციას განაგრძობს და, სავარაუდოდ, დღის ბოლომდე ეროვნული ვალუტა კიდევ გაუფასურდება.

BFM

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

უჩა ნანუაშვილი: „ჩანაწერების გამოქვეყნება ორივე მხარემ უნდა შეწყვიტოს“

„ქვეყანაში დესტაბილიზაციის ნიშნებია“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლიდან 6 წლის თავზე ტელეკომპანია „იმედის“ დამფუძნებლის ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების თემა გახსნილად გამოაცხადა და მკვლელობის მომზადებაში ბრალი წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნებს წაუყენა. ეს მოხდა არჩევნებამდე 2 კვირით ადრე. კულისებში საუბრობენ იმაზე, რომ შესაძლოა ამ დღეებში საგამოძიებო ორგანომ კიდევ ერთ რეზონანსულ საქმეზე გამოაცხადოს გამოძიების შედეგები. კულუარებში დასახელდა ყოფილი პრემიერის ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების საქმე.

ის, რომ იქნება კიდევ ერთი გახმაურებული საქმე გახსნილად გამოცხადებული, ღიად მიანიშნა იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმაც, რომელმაც თქვა, რომ პატარკაციშვილის საქმე არ იქნება უახლოეს პერიოდში ბოლო გახსნილი საქმე.

საქმეების გახსნილად გამოცხადება წინასაარჩევნოდ აჩენს თუ არა პოლიტიკური შეფერილობის ეჭვებს? – ამ თემაზე „ახალი თაობა“ ყოფილ სახალხო დამცველ უჩა ნანუაშვილს ესაუბრა:

– როგორ აღიქმება ის, რომ წინასაარჩევნოდ ხდება რეზონანსული სამართლებრივი საქმეების წარმოჩენა. ჯერ იყო პატარკაციშვილის თემა, იუსტიციის მინისტრმა თქვა, რომ ეჭვობს, ეს არ იქნება ბოლო გახსნილი თემა. კულუარებში საუბარია ჟვანიას საქმის ახალ გარემოებებზეც.

– მე ვფიქრობ, რომ აქ მთავარი პრობლემა მაინც სამართალდამცავი სტრუქტურების დეპოლიტიზაციაა. წლების განმავლობაში რეალურად ვერ მოხდა დეპოლიტიზაცია. ეს გადაწყვეტილებებიც ამ ორგანოების პოლიტიზაციით არის გამოწვეული.

ის საქმეები, რომლებიც აქამდეც უნდა გამოეძიებინათ და არავითარ კავშირში არ უნდა იყოს საარჩევნო პროცესებთან, ქმნის პოლიტიზების შთაბეჭდილებას.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, ჩვენ ამაზე ადრეც არაერთხელ განგვიცხადებია, რომ ისეც დაძაბულ პოლიტიკურ გარემოში სიტუაციის კიდევ უფრო პოლიტიზება დაუშვებელია. არ შეიძლება სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხების ერთმანეთში გადახლართვა.

პირიქით, საარჩევნო გარემო უნდა იყოს მაქსიმალურად თავისუფალი და დაცლილი პოლიტიზებისაგან. კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ კამპანიის თავისუფლად ჩატარების შესაძლებლობა. ამომრჩეველსაც უნდა ჰქონდეს ამა თუ იმ კანდიდატის მოქმედებასთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაცია. სამწუხაროდ, ეს არ ხდება. ეს აღრევა კიდევ უფრო მეტ პრობლემას იწვევს. იმდენად არის ყველაფერი არეული, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაციის ნიშნებიც კი ჩანს.

– არჩევნებამდე თქვენ რა მოლოდინები გაქვთ?

– სამწუხაროა ის, რომ ქვეყანაში არის პოლიტიკური კულტურის კრიზისი. ამის დარეგულირებას სჭირდება პოლიტიკური ნება. ამ ნებას ვერ ვხედავ. პირიქით, ხელისუფლება ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს ეს ვითარება თავის სასარგებლოდ და დაძაბოს მდგომარეობა.

ოპოზიციასაც აქვს თავისი გეგმები. აქედან გამომდინარე, მე არაფერს გამოვრიცხავ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანია, ქვეყანაში იყოს მშვიდი გარემო. უნდა დასრულდეს თუნდაც ჩანაწერების გამოყენება, რომ მოსახლეობას ჰქონდეს საშუალება, არჩევანი გააკეთოს საარჩევნო პროგრამებს შორის და არა ისე, რომ მანიპულაციებმა და დაძაბულობამ მიიღოს ისეთი ფორმა, რომ ქვეყანაში გაჩნდეს დესტაბილიზაციისა და დაძაბულობის კერები, რისი ნიშნებიც უკვე არის.

არ გამოვრიცხავ, რომ დაძაბულობა და დაპირისპირება ამ არჩევნებზეც იყოს, ისევე, როგორც ეს რამდენიმე წინა არჩევნებზე მოხდა.

ხელისუფლებას მართებს კიდევ უფრო მეტი მობილიზება და მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ სამართალდამცავი ორგანოები იყვნენ მაქსიმალურად დეპოლიტიზებულები, მათ შორის არჩევნების პერიოდში და არჩევნების დღეს.

დღეს არის ამის ნიშნები, რომ ერთმანეთში აღრეულია პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხები. რა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო მეტად დაძაბავს ქვეყანაში მდგომარეობას.

– გიორგი გახარიამ თქვა, რომ შსს მთლიანად დეპოლიტიზებული და ნეიტრალური ორგანოა.

– ერთია განცხადება და მეორეა ის რეალობა და საქმეები, რომელთაც ჩვენ ვხედავთ. რატომ ხდება მაინცდამაინც საეჭვო დამთხვევები, რომ ასეთი მნიშვნელოვანი საქმეების გამოძიება ან თუნდაც განცხადებები ეჭვებს იწვევს? წინა არჩევნების დროსაც გვახსოვს შეთქმულების თეორიების გავრცელება, გამოძიების დაწყება, თითქოს ვიღაცა აპირებდა რაღაც გადატრიალებას და ა.შ.

– ამ შემთხვევაში სუს-ის განცხადებას გულისხმობთ?

– რა თქმა უნდა. ასეთი წინააღმდეგობები არ უნდა იყოს, თუნდაც განცხადებებში.

– ნაციონალურ მოძრაობას დაგეგმილი ჰქონდა 3-დღიანი აქცია ჯერ კიდევ სექტემბრიდან, თუმცა მან გააუქმა. რას ფიქრობთ, რატომ მიიღო პარტიამ ეს გადაწყვეტილება?

– არ გამოვრიცხავ, რომ იმის გამო, რომ ფონი ძალიან დაძაბულია. თუნდაც იმის გამო, რომ არ მომხდარიყო ძალადობის გრადაცია და ძალადობის ინციდენტები. შესაბამისად, მე არ გამოვრიცხავ, რომ ამას უკავშირდებოდეს. მით უმეტეს, როდესაც უსაფრთხოების მინიმალური გარანტიებიც არ არსებობს. შესაძლებელია, ჰქონდეს ადგილი პროვოკაციებს. ეს არის ყველაზე სამწუხარო. ქვეყანაში ფონი მთლიანად დაძაბულია და ამაში ხელისუფლებაც მონაწილეობს. ეს არის ფაქტი და ამას ვერ გავექცევით.

– ახსენეთ ჩანაწერების თემა და თქვით, რომ უნდა შეწყდეს მათი გავრცელება. ორივე მხრიდან უნდა შეწყდეს, ოპოზიციური ტელეკომპანიიდანაც და საგამოძიებო ორგანოების მხრიდანაც?

– რა თქმა უნდა. წინასაარჩევნო პერიოდში უნდა იყოს მაქსიმალურად მშვიდი გარემო და ყველამ თავი უნდა შეიკავოს, თუ ეს სხვა თემას არ

უკავშირდება. მაგალითად, მანამდე იყო სხვა თემაზე დაწყებული. „იბერიის“ თემა ნაკლებად უკავშირდებოდა არჩევნებს, თუმცა იმისათვის, რომ გარემო მთლიანად იყოს სამუშაო და მშვიდობიანი, სასურველია, ასეთი ჩანაწერების გავრცელება არ მოხდეს. სასურველია, არ იყოს წინასაარჩევნოდ ძველი საქმეების გამოძიების შედეგების გამოქვეყნება მაინცდამაინც ახლა.

– როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის გეგმებშიც ხომ არ არის პოლიტიკური ტემპერატურის აწევა?

– არ ვიცი. ეს ალბათ მათი გეგმაა. შესაძლებელია, ეგეც იყოს, მაგრამ არის პრობლემები და ამ პრობლემებზე მედიასაშუალებებმა, საზოგადოებამ და პოლიტიკოსებმაც უნდა ისაუბრონ. გარკვეული ჩარჩოები აუცილებლად უნდა იყოს დაცული, ანუ რაღაც ზღვარი უნდა არსებობდეს.

ლია მუხაშავრია: „ნაციონალები რევანშის აღებას ცდილობენ“

„ივანიშვილი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებით თავის გუნდს მოიშორებს“

ნათია ხურცილავა

იურისტი ლია მუხაშავრია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესაძლო განვითარებაზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, წინასაარჩევნო კამპანია მკვეთრად ნეგატიურ ფონზე მიმდინარეობს. ძირითადად ორი ძალა უპირისპირდება ერთმანეთს, მესამე იგნორირებული ჰყავთ, თითქოს არც არსებობს. ეს არის ბუნებრივი მოცემულობა თუ მიზანმიმართულ ქმედება?

– რასაკვირველია, მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალა არ არსებობს და მესამეც არის, მაგრამ ამ ორ ძალას აქვს ყველაზე მეტი რესურსი. ერთი ხელისუფლებაშია და მეორე ყოფილი ხელისუფლებაა. ამიტომ გამოიკვეთა ეს ორი ძალა. სხვა ძალებიც არსებობენ, მაგრამ ისინი ამ ფონზე ამინდს ვერ ქმნიან.

დაპირისპირება რომ ძალიან მწვავეა, ეს აშკარაა. ნაციონალური მოძრაობა ფიქრობს, რომ მას აქვს შანსი, ხელისუფლების უნიათობა კარგად გამოიყენოს და ამას დღემდე ახერხებს კიდეც.

– გამორიცხავთ, რომ 2020 წლისთვის საპარლამენტო არჩევნებისთვის იყოს მზადება და ამიტომაც გვაქვს ასეთი მწვავე დაპირისპირება, რომ ეს იყოს ერთგვარი რეპეტიცია?

– არა, ალბათ რეპეტიცია არ არის, მე უფრო მგონია, რომ ნაციონალური მოძრაობა ფიქრობს, „ქართული ოცნების“ უნიათობა კარგად გამოიყენოს და ისინი ამისთვის ყველაფერს აკეთებენ, რევანშის აღებას ცდილობენ.

2020 წლამდე ასე ვერ მივალთ, ისე ცუდად მიდის საქმე. მე ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს უფრო ველოდები, ვიდრე იმას, რომ საპარლამენტო არჩევნები შესაბამის ვადებში ჩატარდეს.

– როდისთვის წარმოგიდგენიათ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და რა შეიძლება იყოს ამის მაპროვოცირებელი?

– ბიძინა ივანიშვილი საკმაოდ გაწბილებულია თავისი პარტიული ელიტით. მე არ მგონია, რომ მას მოსწონდეს მისი გუნდი. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ამ ფარული ჩანაწერების უკან ერთპიროვნულად ბიძინა ივანიშვილი იდგეს და ის უბრალოდ ამ ხალხის ლუსტრირებას ახდენდეს.

თუ მისი თვალთახედვით შევხედავთ სურათს, ვადამდელი არჩევნებით მას ეძლევა შესაძლებლობა, ყველასგან გათავისუფლდეს, თვითონ კი ბუჩქებში დარჩეს კანონისა და პასუხისმგებლობის მიღმა. ის, შეეცდება, ახალი ძალა მოიყვანოს, რომელიც უფრო გაუმართლებს და თუ არ გაუმართლებს, უფრო ჭკვიანად მაინც მოიქცევა, ვიდრე „ოცნების“ შემადგენლობა იქცევა დღეს.

– და ასეთი რთული გზის არჩევა უწევს მას ამ გუნდისგან დასახსნელად?

– გარკვეული ვალდებულებები მას აქვს ამ გუნდის წინაშე აღებული და ის ვერ გადავა ასე მარტივად, თანაც, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ მის ფსიქოტიპს, რომელიც არ გულისხმობს ღიად დაპირისპირებას, მაშინ ადვილად დავინახავთ, რომ მას ურჩევნია, ასე მოიშოროს ეს ადამიანები.

ახლა რაც ხდება, ყველაზე ხელსაყრელი ივანიშვილისთვის არის, თანაც ის ტექნიკა, რომელიც თვალთვალისა და მოსმენებისთვის არის საქართველოში დაინსტალირებული, თავის დროზე ივანიშვილის მიერ არის შეძენილი.

– ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის მმართველობის დროს.

– დიახ.

– თუ მართლაც ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნა, ეს იქნება ის არჩევნები, სადაც კოალიციური მთავრობა მოვა, რომელიც იქნება რეალური კოალიცია?

– არა, ეს არის ის ოცნება, რომელიც მე არ მგონია, რომ რეალისტური იყოს. მე ვფიქრობ, რომ ივანიშვილისთვის ალბათ უფრო ხელსაყრელი იქნება ერთი ძალით მოსვლა კვლავ ხელისუფლების სათავეში, როგორც აქამდე, რადგან მისთვის უფრო მარტივი იქნება ერთი ძალის მართვა და ასე მანიპულირება, ვიდრე კოალიციური მთავრობისა და კოალიციური პარლამენტის მართვა

რამდენი ფიზიკური პირი იხდის საქართველოში ქონების გადასახადს

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან დგებუაძის ინფორმაციით, საქართველოში ქონების გადასახადის გადამხდელი ფიზიკური პირების რაოდენობა 64.000-მდეა.

ამის შესახებ დგებუაძემ „საქმიან დილაში“ სტუმრობისას განაცხადა.

ცნობისთვის: ფიზიკური პირებს, რომელთა წინა წლის დარიცხული შემოსავალი 40 ათას ლარს აღემატება, 1 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე აქვთ ვალდებულება, რომ ქონების გადასახადის დეკლარაცია წარადგინონ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ადმინისტრაციულად დაჯარიმების რისკის ქვეშ მოხვდებიან.

შემოსავლების სამსახურის საგადასახადო და საბაჟო მეთოდოლოგიის დეპარტამენტის უფროსის მოადგილის თქმით, ფიზიკური პირების ინფორმირების მიზნით, უწყება აქტიურ საინფორმაციო კამპანიას აწარმოებს.

– ფიზიკურ პირებს ვუგზავნით სმს შეტყობინებებს, რომ მათი წლიური შემოსავალი აღემატება 40,000 ლარს და არ გამორჩეთ დეკლარაციის შევსება. ასევე, სერვისცენტრებში ვატარებთ ღია კარის დღეებს, – აღნიშნა დგებუაძემ.

მისივე თქმით, ქონების გადასახადის გადამხდელთა რიცხვი ყოველწლიურად მზარდია.

როგორც შემოსავლების სამსახური წარმომადგენელმა აღნიშნა, მზარდია ქონების გადასახადის გადამხდელთა აქტივობაც.

– მაგალითად, თუ 2017 წლის 18 ოქტომბრის მდგომარეობით, წარმოდგენილი იყო 14,000 დეკლარაცია, წელს ეს რიცხვი 15.800-მდეა, – განაცხადა მან.

რაც შეეხება ქონების გადასახადის გადამხდელთა ჯამურ რაოდენობას, დგებუაძის ინფორმაციით, 2017 წელს ქონების გადასახადი სულ 64, 000-მა ფიზიკურმა პირმა გადაიხადა.

– 64,000 ათასი ფიზიკური პირიდან 34,000 ათასი მიწის გადასახადის ვალდებულებების ნაწილში ქონების გადასახადის გადამხდელია, ხოლო 29,000 ფიზიკური პირი კი, მიეკუთვნება იმ კატეგორიას, რომლის წლიური შემოსავალი 40,000 ლარს აღემატება; გარდა ამისა, საგადასახადო კანონმდებლობით გვაქვს ასეთი ჩანაწერი, რომ თუ ფიზიკურმა პირმა ერთხელ დაადეკლარირა ქონების გადასახადი და მომდევნო წელს არ ეცვლება მონაცემები, მას შეუძლია დეკლარაცია არ წარმოადგინოს და საგადასახადო ორგანო ავტომატურად დაარიცხავს გასული წლის შედეგების მიხედვით; აქედან გამომდინარე, 29,000 ფიზიკურ პირს ემატება 8,200 დეკლარაცია, რომელიც ავტომატურად გადმოვიტანეთ გასული წლის შედეგების მიხედვით ანუ ჯამში 37.000 დეკლარაცია არის შევსებული ფიზიკური პირების მიერ, რომელთა წლიური შემოსავალი 40,000 ლარზე მეტია, – განმარტა შემოსავლების სამსახურის წარმომადგენელმა.

მისივე ინფორმაციით, წლიური 100,000 ლარზე მეტი შემოსავლის სტა-

ტუსით 2017 წელს დეკლარაცია დაადეკლარირა 8,723-მა ფიზიკურმა პირმა, ხოლო 29,000 ფიზიკურ პირს წლიურ შემოსავლებში 40,000-დან 100,000 ლარამდე ჰქონდა მითითებული.

ცნობისთვის: ქონების გადასახადის დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში მინიმალური სანქციაა გადასახდელი თანხის 5%, ხოლო მაქსიმალური ზღვარი – თანხის 30%.

BM

ლომისის მონასტრიდან რუსებმა ბერ-მონაზონი გაიტაცეს

შორენა მარსაგიშვილი

გიორგი ლაფანაშვილი: „რუსეთმა, შესაძლოა, დუშეთის ნაწილი და ყაზბეგი საქართველოს მოსწყვიტოს“

რუსი ოკუპანტებისა და მათი საყმოს – ცხინვალის ხელისუფლების მიერ საქართველოს მოქალაქეების გატაცება უკვე ჩვეულ ამბად იქცა. კვირა ისე არ გავა, რომ მათ რამდენიმე ადამიანი არ გაიტაცონ. ადრე ძირითადად მამაკაცებს იტაცებდნენ. მერე ქალებზე, ბავშვებსა და მოხუცებზეც გადავიდნენ.

ახლა კი სასულიერო პირების ჯერი დადგა. რუსმა ოკუპანტებმა ლომისის მამათა მონასტრიდან ბერ-მონაზონი და მომლოცველი გაიტაცეს. მათ საზღვრის დარღვევას სდებენ ბრალად. მოგვიანებით, გუშინ საღამოს, ისინი გაათავისუფლეს.

რას უკავშირდება ადამიანების გახშირებული გატაცებები, რისთვის ემზადებიან რუსები და ოსები, რა საფრთხის წინაშე დგას საქართველო? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ დუშეთის თემთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ლაფანაშვილი ესაუბრება.

გიორგი ლაფანაშვილი:

– რუსი სამხედროები და მათი ცხინვალელი თანამზრახველები უკვე ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ. მათ იკადრეს ის, რაც საომარი მოქმედებების დროსაც კი არ უკადრიათ. მათ ლომისის მონასტრის ბერ-მონაზონი და მონასტრის მრევლის წევრი მოიტაცეს.

მათი დაკავება მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, წყაროსთან მოხდა. არა მგონია, ეს შემთხვევითი ამბავი იყოს, ეს ყველაფერი სერიოზული პროვოკაციის წინაპირობა მგონია.

ლომისის მამათა მონასტერი იმ მთის წვერზე მდებარეობს, რომელიც ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვრებში მოექცა. ლომისის მონასტერზე ასვლა შეიძლება როგორც მლეთის, ასევე ქსნის ხეობის მხრიდან.

იმის გამო, რომ ახალგორი ახლა რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, იქ ქართველი მომლოცველები მხოლოდ მლეთის მხრიდან ადიან. ქსნის ხეობის მხრიდან ოსები და რუსი სამხედროები ამოდიან.

– ლომისაზე ასეთი რეალობა აგვისტოს ომის შემდეგაა. ამ ომიდან ათი წელი გავიდა, მაგრამ მსგავსი ინციდენტი არასდროს მომხდარა, მათ შორის ომის მიმდინარეობის დროსაც კი. ახლა რამ გააამწარა და გადარია ეს რუსები, რომ ბერ-მონაზონი გაიტაცეს?

– საპრეზიდენტო არჩევნებია და რუსეთი ყოველი არჩევნების წინ ცდილობს საქართველოში სიტუაციის გამწვავებას. ეს გატაცებაც პროვოკაციაა. რუსებმა ძალიან კარგად იციან, რომ წყარო, საიდანაც ადამიანები გაიტაცეს, ქართველებისაა. ამ წყაროთი სარგებლობენ როგორც მონასტრის მამები, ასევე მომლოცველები, რომლებიც იქ მრავლად დადიან.

ლომისას მოსალოცად რუსი სამხედროებიც ამოდიან ოკუპირებული ახალგორის მხრიდან. ეს ძირითადად ლომისობაზე ხდება. ისინი ქართველ მომლოცველებთან არ კონტაქტობენ, მხოლოდ სასულიერო პირებს ესაუბრებიან, მოილოცავენ სალოცავს და უკან ბრუნდებიან.

აქამდე ასე იყო, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, სიტუაცია იცვლება და ჩვენმა ხელისუფლებამ რაღაც უნდა გააკეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში იქ ქართველი მომლოცველები შეიძლება ველარ ავიდნენ.

მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან სასულიერო პირის გატაცებას მე მაინც მოახლოებულ არჩევნებს ვუკავშირებ, მაგრამ, არ არის გამორიცხული, ეს ყველაფერი ოსების მიერ იყოს მოწყობილი.

– ოსები ამის წინააღმდეგი არ იქნებიან, მაგრამ ქართველები ამ შემთხვევაში რუსმა სამხედროებმა დააკავეს.

– რუსმა სამხედროებმა დააკავეს, მაგრამ მათ გვერდით ვინ იდგა? აგვისტოს ომის დროსაც რუსი სამშვიდობოები მოქმედებდნენ, მაგრამ მათ რიგებში იყვნენ თეთრსამკლაურიანი „აპალჩენცები“ (ასე უწოდებენ ოსი ბოევიკები საკუთარ თავს).

აქამდე საქართველოს მოქალაქეებს ძირითადად შიდა ქართლიდან იტაცებდნენ, მაგრამ ახლა მათ სამოქმედო არეალში დუშეთიც შევიდა. ეს არ არის შემთხვევითი და არც მოახლოებულ საპრეზიდენტო არჩევნებთან არის კავშირში. აქ სხვა მიზეზიც უნდა ვეძებოთ.

ამ მიზეზს პროვოკაცია, სახელად აღმოსავლეთ ოსეთი ჰქვია. რამდენიმე თვის წინ ოსებმა ყაზბეგის რაიონი აღმოსავლეთ ოსეთის ნაწილად გამოაცხადეს. ქართული მხრიდან ამაზე რეაქცია რომ არ იყო, მერე დუშეთის ნაწილიც თავიანთ საკუთრებად შერაცხეს.

მადა, მოგეხსენებათ, ჭამაში მოდის და ცოტა ხნის წინ უკვე მცხეთაზე გამოთქვეს პრეტენზიები. ძალიან მალე ალბათ სვეტიცხოველზეც იტყვიან, რომ ოსური ძეგლია.

– სვეტიცხოველი ნამეტანი ხომ არ იქნება ოსებისთვის?

– რატომ იქნება ნამეტანი. ეგენი თბილისსაც სიამოვნებით გამოაცხადებენ ოსურ ქალაქად და არც იმის თქმა შერცხვებათ, რომ საქართველო დიდი ალანიის ნაწილი იყო.

ეს საკითხი, ერთი შეხედვით, სასაცილოა, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, არც ისე სასაცილოდ გვაქვს საქმე. თავის დროზე ისიც სასაცილო ჩანდა, რომ ოსები ცხინვალზე აცხადებდნენ პრეტენზიას, მაგრამ ახლა ვხედავთ, იქ რა სიტუაციაა.

– ამათ აღმოსავლეთ ოსეთად რომ გამოაცხადეს ნახევარი საქართველო, არ შეიძლება, ჩვენ ვლადიკავკაზი გამოვაცხადოთ ჩრდილოეთ საქართველოდ?

– ჩვენ ბევრად მეტი საფუძველი გვაქვს, ვლადიკავკაზზე პრეტენზია გამოვაცხადოთ. 1921 წელს ერთა ლიგის მიერ აღიარებულ რუკებში ვლადიკავკაზი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, უფრო ადრე კი ჩრდილოეთ კავკასიის დიდი ნაწილი საქართველოს სამთავროს ეკუთვნოდა. ასე რომ, პრეტენზიები ჩვენ უნდა წავუყენოთ რუსებს, მაგრამ ყველაფერი პირიქით ხდება.

მას შემდეგ, რაც საქართველოს ნაწილი ოსებმა აღმოსავლეთ ოსეთად გამოაცხადეს, „ახალ თაობას“ რამდენჯერმე ვესაუბრე. ყოველთვის ვამბობდი, რომ მალე დუშეთისა და ყაზბეგის მიმართულებით დაიწყებოდა პროვოკაციები. ზაფხულში თრუსოს ხეობის მიმდებარე ტერიტორიიდან გაიტაცეს მოლაშქრენი, ამ დღეებში კი უკვე ბერ-მონაზონს იტაცებენ დუშეთის რაიონიდან.

არაერთხელ მივმართე საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს, რომ საზღვრებისა და გამყოფი ხაზებისთვის მეტი ყურადღება მიექციათ. რამდენადაც ვიცი, ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენი მეზობელი აშკარა პროვოკაციაზე მოდის.

– რა შეიძლება, საქართველომ ამ პროვოკაციას დაუპირისპიროს?

– რაღაც უნდა მოვიფიქროთ, ამაში უნდა ჩავრთოთ საერთაშორისო თანამეგობრობა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება მაფიქრებინებს, რომ მოსკოვი პროვოკაციულ კურსს გააგრძელებს.

– რა განცხადებაზე საუბრობთ?

– რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსანმა მარია ზახაროვამ ამ გატაცებებში აქეთ წაგვიყენა პრეტენზიები. თურმე საქართველოს ხელისუფლება ვერ უხსნის თავის მოქალაქეებს, თუ სად გადის საქართველოს საზღვარი. ეს ნიშნავს იმას, რომ საზღვრის დარღვევის ბრალდებით საქართველოს მოქალაქეების გატაცება მომავალშიც გაგრძელდება.

არ გამოვრიცხავ, რომ რუსული პროვოკაცია ამით არ შემოიფარგლოს და წინ ბევრად მეტი საფრთხე გველოდება.

– რა საფრთხეებზე საუბრობთ?

– ოსები რუსების მხარდაჭერის გარეშე აღმოსავლეთ ოსეთის თემას არ წამოსწევდნენ. აშკარაა, რომ რაღაც აქვთ ჩაფიქრებული. ლომისის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიიდან ბერ-მონაზვნისა და მომლოცველის გატაცება მაფიქრებინებს, რომ ამ მიმართულებითაც შეიძლება პრობლემების შექმნა.

თუ რუსები ლომისის ქედზე განლაგდებიან და გადაწყვეტენ „დიდი ალანიისთვის“ აღმოსავლეთ ოსეთის მიერთებას, ძალიან მარტივად შეძლებენ სამხედრო გზაზე გამოსვლას. შედეგად საქართველოს მოსწყვეტენ დუშეთის ნაწილსა და მთელ ყაზბეგს. ეს გეგმა რუსებს უკვე შემუშავებული ექნებათ.

იმედი მაქვს, რომ საქმე აქამდე არ მივა, სამხედრო გზის გასწვრივ კი პროვოკაციებს არ გამოვრიცხავ. სადაც მონასტრიდან ბერ-მონაზონი გაიტაცეს, იქ სხვა რამესაც გაბედავენ.

კიდევ ერთხელ მივმართავ საქართველოს ძალოვან სტრუქტურებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საზღვრისპირა რეგიონებს.

გიორგი ცუცქირიძე: „სესხს არ უნდა იღებდეს ყველა, უნდა იღებდეს მხოლოდ ის, ვისაც აქვს მისი მომსახურების უნარი“

– სესხს არ უნდა იღებდეს ყველა, ვისაც სესხი უნდა. სესხს უნდა იღებდეს მხოლოდ ის, ვისაც აქვს მისი მომსახურების უნარი, – განაცხადა საბანკო და საფინანსო საკითხებში ექსპერტმა გიორგი ცუცქირიძემ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“.

გადაცემაში საქართველოს საბანკო სისტემასა და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

გიორგი ცუცქირიძის თქმით, ეროვნული ბანკის რეგულაციების მიზანი მხოლოდ სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება არაა, მისი მიზანია, იმ რისკების შემცირება, რასაც შეუძლია საფრთხე შეუქმნას ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში. დაბალი საპროცენტო განაკვეთი კი სწორედ ამის წინაპირობაა.

– ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩვენს საბანკო სექტორში დიდი გარღვევა მოხდა. არა მხოლოდ გაიზარდა აქტივები, მოგება ან ვალდებულებები, ბანკებმა ბევრი ახალი პროდუქტი დანერგეს, თუნდაც დისტანციური და ინტეგრირებული საბანკო პროდუქტები.

თუმცა, რეალობა არის ის, რომ ქართული ბაზრის 2/3-ზე მეტი ორ სისტემფორმირებად ბანკს უჭირავს. ეს წარმოუდგენლად დიდი წილია და იშვიათია განვითარებულ ქვეყნებში, აღარ ვლაპარაკობ განვითარებად ქვეყნებზე.

მაღალი კონცენტრაცია გარკვეულწილად პლუსია, იზიდავენ ბანკები ინვესტიციებს, თუმცა პრობლემა დაკავშირებულია ზედმეტი კონცენტრაციის გადაყვანა, გადასვლასთან ოლიგოპოლიურ სივრცეში. ბაზარზე არ არის ისეთი კონკურენცია, როგორიც უნდა იყოს და ეს აისახება დომინანტის არსებობით საპროცენტო განაკვეთების მაჩვენებლებზე. ბოლო წლებია, კი იკლებს ეს საპროცენტო განაკვეთები, მაგრამ არა ისე, რამდენადაც ეს სასურველია. ამასთანავე, რაც უფრო მაღალია კონკურენცია, მომხმარებელსა და ბანკს შორის უფრო კარგი კომუნიკაციაა.

დღევანდელი მდგომარეობით კი კომერციული ბანკებისადმი მომხმარებლების პრეტენზიები კი არ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა.

რეალურად ეკონომიკა ვითარდება ისეთ მოდელში, რომ ბანკებმა უნდა შეცვალონ დაკრედიტების მოდელი და იგი მთლიანად გადააწყონ. ისეთი საცალო დაკრედიტება, როგორიც ჩვენ გვქონდა, წარმოუდგენელია, კრიზისამდე არ მისულიყო.

ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ სესხს არ უნდა ვაძლევდეთ სესხს ყველას. სესხს უნდა იღებდეს მხოლოდ ის, ვისაც აქვს მისი მომსახურების უნარი. სესხები ეკონომიკაში მოხმარებას ასტიმულირებს, მაგრამ ეს სტიმულირება ეხება მხოლოდ იმპორტს. რეალურად, იგი ეკონომიკის მუხრუჭია. თუ მთელი შემოსავალი სესხის დაფარვაში წავა, სხვა რამის შესაძენად ფული აღარ დაგვრჩება, ასე კი ვერ განვითარდება ეკონომიკა, – განაცხადა გიორგი ცუცქირიძემ.

გურჯაანში ღვინის უნივერსიტეტი გაიხსნება

გურჯაანში კავკასიის უნივერსიტეტი ღვინის უნივერსიტეტს გახსნის. მაჟორიტარ დეპუტატ დავით სონღულაშვილის განცხადებით, ეს გადაწყვეტილება საბოლოოა და მუნიციპალიტეტი არ შეიცვლება. ერთ-ერთ ლოკაციად ყოფილი სკოლა-ინტერნატის ტერიტორია განიხილება, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილება ამ დროისთვის მიღებული არ არის.

ამჟამად არსებული პროექტის მიხედვით აშენდება სამი შენობა: ღვინის ლაბორატორია, ღვინის მცირე წარმოება და სტუდენტური საერთო საცხოვრებელი.

– საუბარია კიდევ რამდენიმე ადგილზე, როგორც ქალაქის ცენტრში, ასევე ქალაქგარეთ. თუმცა ქალაქის განვითარებისთვის ალბათ აჯობებს ცენტრში გაკეთდეს. შემიძლია გადაჭრით გითხრათ ის, რომ ღვინის უნივერსიტეტი გურჯაანში აშენდება და მუნიციპალიტეტი აღარ შეიცვლება. ეს ჩემი აქტიური ჩართულობის შედეგია. გურჯაანი მეღვინეობა-მევენახეობის მუნიციპალიტეტია და ამიტომ ყველაზე სწორია, სასწავლებელიც აქ აშენდეს. ამ ლოგიკით დავარწმუნე კავკასიის უნივერსიტეტი, რომ შესაფერისი ადგილი გურჯაანია. ეს იქნება საერთაშორისო უნივერსიტეტი, რაც ნიშნავს იმას, რომ აქ ისწავლიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები. ჩატარდება არაერთი კვლევა მეღვინეობა-მევენახეობის მიმართულებით, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის სტატუსს სულ სხვა სიმაღლეზე აიყვანს. როგორც ხელმძღვანელობა მეუბნება, 2020 წლისთვის უკვე მზად იქნებიან სტუდენტების მისაღებად, – აღნიშნა დავით სონღულაშვილმა.

ღვინის უნივერსიტეტში საბაკალავრო პროგრამის წლიური გადასახადი 2.250 ლარი იქნება, ხოლო პროფესიულის 1.125 ლარი.

– თავდაპირველად, გურჯაანში ღვინის სკოლის გახსნა იგეგმებოდა, მაგრამ გადაწყდა, რომ ამ ქალაქში ღვინის უნივერსიტეტი იქნება. აქ იფუნქციონირებს პროფესიული, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. შესაძლოა ლოკაცია შეიცვალოს, რადგან ამ ეტაპზე ჯერ მხოლოდ პროექტი გვაქვს. იწერება პროგრამები და მიმდინარეობს მოლაპარაკებები. ერთ-ერთი ლოკაცია შერჩეულია, თუმცა შესაძლოა განვიხილოთ სხვა ადგილიც, – განაცხადა კავკასიის უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა მარიამ მაღულარიამ.

მისივე თქმით, პროექტის მიხედვით, დაგეგმილია სამი კორპუსის აშენება, აქედან ერთ-ერთი აუცილებლად საერთო საცხოვრებელი იქნება.

– საერთო საცხოვრებელი არცერთ უნივერსიტეტში უფასო არ არის, ჩვენ შემთხვევაშიც იქნება რაღაც თანხა, თუმცა ამ დროისთვის ვერ დავაკონკრეტებთ რამდენი. მიღება გვექნება ღვინის ტექნოლოგიებზე, მაგრამ პროგრამის სახელი ჯერჯერობით დამტკიცებული არ არის. შესაძლოა, 4 წლის მერე, როდესაც პირველ ნაკადს გავუშვებთ, კულინარიის მიმართულება დაემატოს. ეს სამომავლო პერსპექტივაა. კავკასიის უნივერსიტეტს 70 ქვეყნის 130 პარტნიორი ჰყავს. გაცვლითი პროგრამები ძირითადად ევროპის მიმართულებით ხორციელდება. რა თქმა უნდა, ამ უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა. ადგილზე იქნება შესაძლებელი პრაქტიკის გავლაც. – აღნიშნა მაღულარიამ.

ღვინის უნივერსიტეტის მშენებლობა 2019 წლის გაზაფხულზე დაიწყება და საგანმანათლებლო დაწესებულება სტუდენტთა მიღებას 2020-2021 სასწავლო წლისთვის შეძლებს.

სპექტრი.ge

მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის გარკვეული რეგულაციების ამოქმედება გადავადდა

საზედამხედველო კაპიტალის ოდენობასთან დაკავშირებით მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისთვის რეგულაციების ამოქმედების ვადამ გადაიწია. ამის შესახებ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ დამტკიცებულ „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესში“ წერია.

კერძოდ, 5 ივლისის ბრძანების თანახმად, მისო-ების საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობა 2018 წლის 31 დეკემბრამდე არანაკლებ 500 ათასი ლარი; 2019 წლის 30 ივნისამდე კი არანაკლებ 1 მლნ ლარი უნდა იყოს, მაშინ როცა აქამდე ცნობილი იყო, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, საზედამხედველო კაპიტალის გაზრდა 500 ათას ლარამდე 2018 წლის 1-ლ სექტემბრამდე, ხოლო არანაკლებ 1 მლნ ლარამდე 2019 წლის 1-ლ იანვრამდე მოუწევდათ. მიკროსაფინანსო ორგანიზაციები კი ვადების გადაწევას მოითხოვდნენ და აღნიშნავდნენ, რომ 2018 წლის 1-ლი სექტემბრიდან აღნიშნული რეგულაციის ამოქმედება მისო-ების 70-80%-ით ბაზრიდან გასვლას გამოიწვევდა.

imedinews.ge

„გაჩვენებთ, როგორ აპატიმრებენ პრეზიდენტობის კანდიდატს“

ზურაბ ჯაფარიძემ დანაპირები შეასრულა

გულიკო ბალაძე

პრეზიდენტობის კანდიდატმა საზოგადოების გარკვეული ნაწილის ხმების მოპოვება მარიხუანის ფესტივალის ჩატარებით გადაწყვიტა. „გირჩის“ ლიდერმა ზურაბ ჯაფარიძემ დედაენის ძეგლთან მარიხუანის ფესტივალის ჩატარება დააანონსა და შეგვპირდა, რომ საზოგადოებას აჩვენებდა, როგორ იჭერენ პრეზიდენტობის კანდიდატს.

დაპირება პოლიციამ შეასრულა მას შემდეგ, რაც ზურაბ ჯაფარიძემ მარიხუანის მოწევის ჩვენება დაიწყო – ორმა პოლიციელმა ზურაბ ჯაფარიძე დედაენის ბაღიდან გაიყვანა, ახალგაზრდები კი სკანდირებდნენ: „ჯაფარ“, „ჯაფარ“.

„გირჩის“ მარიხუანას ფესტივალი ვერ შედგა. პოლიციამ მათ დედაენის ბაღში მარიხუანის შეტანისა და გაყიდვის საშუალება არ მისცა და იქ მიტანილი საქონელი ჩამოართვა. თუმცა, დაფიქსირდა გირჩის ლიდერებისა და მათი თანმხლები ახალგაზრდობის ნაწილის სურვილი, მთელი საზოგადოების დასანახად, სახალხოდ მოეწიათ მარიხუანა.

ზურაბ ჯაფარიძე ჟურნალისტებითა და მისი მომხრე ახალგაზრდებით იყო შემოჯარული დადიოდა ბაღში. ზოგიერთი ახალგაზრდა ბაყაყის, სპანჯ-ბობის, ცისარტყელას, მგლის სამოსში იყო გამოწყობილი. დედაენის ძეგლის მიდამოები რამდენიმე საათის განმავლობაში პოლიციას ალყაში ჰქონდა მოქცეული.

ზურაბ ჯაფარიძეს „ახალმა თაობამ“ რამდენიმე კითხვა დაუსვა.

– ბატონო ზურაბ, თქვენს შვილს კანაფს მოაწევინებთ?

– არა, ჩემს შვილებს მარიხუანას არ მოვაწევინებ.

– აბა, სხვის შვილებს რას ერჩით, პროპაგანდას რატომ ეწევით?

– არანაირ პროპაგანდას არ ვეწევი.

– გამოაცხადეთ, მარიხუანის ფესტივალიაო და აქ მოხვედით მომზადებული, მეტი პროპაგანდა რა გინდა?

– არა, ეს პროპაგანდა არ არის. ფესტივალის აზრი ისაა, რომ ამ ადამიანებს, რომლებიც კანაფს მოიხმარენ, პოლიცია არ დასდევდეს, არ სჯიდეს და არ აჯარიმებდეს. ეს რთული გასაგებია? პოლიცია დასდევს და ხალხს აჯარიმებს, მათ შორის, ცოტა ხნის წინ ციხეშიც სვამდნენ. თუ პოლიცია არ დასდევს, აბა, აქ რას აკეთებს.

– თქვენ ხომ იცით, კანაფის შემდეგ ადამიანები უფრო მძიმე ნარკოტიკზე გადადიან.

– არა, ეგ ტყუილია.

– რა ტყუილია, ჩვენთვის ცნობილია იმ ადამიანების ბედი, რომლებიც ჯერ მარიხუანას ეწეოდნენ და შემდეგ ძლიერ ნარკოტიკზე გადავიდნენ. ახლა ცუდ დღეში არიან.

– არა, ეგ სწორი არ არის.

– აქ მოსული თქვენი მომხრე ახალგაზრდებიდან მარიხუანას ყველა ეწევა?

– არა, უბრალოდ, თავისუფლებისთვის ვიბრძვით, – გვიპასუხეს იქ შეკრებილი ახალგაზრდების რიგებიდან.

– ბატონო ზურაბ, თქვენ ადამიანებს ნარკოჭაობისკენ მიათრევთ და ახალგაზრდებს ეუბნებით, რომ ქართულ ჯარში არ წავიდნენ. ამისთვის ვითომდა რელიგიურ ორგანიზაციაში აწევრიანებთ. როგორი პრეზიდენტი იქნებით, როდესაც ჯარის დეზინტეგრაციას ახდენთ?

– მე ახალგაზრდებს ვაცდუნებ, რომ გახდნენ დეზერტირები, შემდეგ მივათრევ ნარკოჭაობში ჩასახრჩობად.

– ხომ მოუწოდებთ, ჯარში არ წავიდნენ და...

– კი-თქო, გეუბნებით. თუ ასეთი პრეზიდენტობის კანდიდატი გაწყობთ, ამირჩიეთ, თუ არადა, ნუ მომცემთ ხმას.

– ხმას არ მოგცემთ, მაგრამ თქვენი ამ განცხადებებით გარკვეული სამსახურები უნდა დაინტერესდნენ, ამაშიც დამეთანხმეთ.

– კი-თქო, გეუბნებით. აგერ არიან.

– არასერიოზულად რატომ გვპასუხობთ?

– კი-თქო, გეუბნებით, მეტი რა ვქნა.

– თქვენ ვინ გლობირებთ?

– სოროსი.

– აანონსებდით, გაჩვენებთ, პრეზიდენტობის კანდიდატს როგორ აპატიმრებენო. დაპატიმრებას ელოდებით?

– მე მგონია, დამაპატიმრებენ, დაელოდეთ მოვლენების განვითარებას. მაგ სიამოვნებას მოგანიჭებთ, ყველანაირად ვეცდები, განახოთ, როგორ აპატიმრებენ პრეზიდენტობის კანდიდატს.

❖ ❖ ❖

ამ დროს ერთ-ერთმა მამაკაცმა ზურაბ ჯაფარიძეს ჰკითხა:

– ეგ თქვენი მარიხუანა დემოგრაფიულ მდგომარეობაზე როგორ მოქმედებს?

– დემოგრაფიას თუ გვინდა ვუშველოთ, ძალიან უნდა გავმდიდრდეთ. თუ ღარიბები ვიქნებით, ცუდი დემოგრაფიული ვითარება გვექნება. მარიხუანა დემოგრაფიასთან არაფერ შუაშია.

ცუდი დემოგრაფიული სიტუაცია იმიტომ კი არ არის, რომ ცოტა იბადება. ცუდი დემოგრაფიული მდგომარეობა ხალხი ქვეყნიდან გასვლის ბრალია.

❖ ❖ ❖

ერთი ახალგაზრდა შეეცადა, ჩვენთვის აეხსნა, თუ რატომ არ უნდა ჯარში წასვლა:

– მე სახელმწიფო მთხოვს, ერთი წელი ჯარში ვემსახურო და ვემონო.

– ვის უნდა ემონო, შენი ქვეყნის დამოუკიდებლობა და საზღვრები არ უნდა დაიცვა? ეგ რა მონობაა?

– ვიშკაზე დგომით შენი ქვეყნის დამოუკიდებლობასა და საზღვრებს ვერ დაიცავ.

– ისეთ ნაწილში წადი, რომელიც უფრო ძლიერად ამზადებს ჯარისკაცებს.

– ეგრე არ ხდება.

– ანუ თქვენ ჯარში არ ყოფილხართ?

– არა.

– როგორ გათავისუფლდით? – ამ კითხვაზე ახალგაზრდას აღარ უპასუხია.

❖ ❖ ❖

აქ შეკრებილი ახალგაზრდები თავიანთ მოქმედებებში ძალიან თავდაჯერებულები იყვნენ და ცდილობდნენ ჩვენთვისაც აეხსნათ მათი თავისუფლების საიდუმლო.

გვანცა მანაულაშვილი:

– ვიცი, რომ დღევანდელი ფესტივალი ზოგისთვის საკმაოდ შოკისმომგვრელია, მაგრამ სინამდვილეში მთავარი არსი ისაა, რომ უბრალოდ, თავისუფლების გამოხატულებაა.

– მაშინ დაგერქმიათ თავისუფლების ფესტივალი და არა მარიხუანის ლეგალიზაციის ფესტივალი.

– მარიხუანის ლეგალიზაციის ფაქტი თავისთავად არის თავისუფლების გამოხატულება.

– თქვენთვის.

– ყველასთვის.

– მარიხუანის მოწევის აგიტაციას რომ ეწევით და ახალგაზრდებს ახალისებთ? მე არ მინდა, რომ ჩემმა შვილმა მარიხუანა მოსწიოს.

– ქალბატონო, თუ აგიტაციას, პროპაგანდასა და ასეთ ტერმინებს გამოვიყენებთ, მაშინ გაგახსენებთ, რას ჰქვია პროპაგანდა.

– აბა, რა ჰქვია იმას, რასაც თქვენ ამბობთ?

– პროპაგანდა ჰქვია იმას, რასაც სახელმწიფო ატარებს. ფესტივალი იმისთვის ტარდება, რომ სახელმწიფოს წარმომადგენლებმა დაინახონ სიტუაცია. ვინც ეწევა, ის თავისუფალია.

– თქვენ ეწევით?

– ხანდახან.

– ხელს ვინმე გიშლიდათ მოწევაში, ფესტივალის ჩატარება რომ არ მოგენდომებინათ?

– ხედავთ ვინმეს, რომ ეწევა?

– პოლიციამ არ შემოგატანინათ, თორემ მოწევდით.

– ჯერჯერობით ის კანონპროექტი არ არის მიღებული, რომ ასე ღიად მისცენ საშუალება, მარიხუანა მოსწიონ.

– მაშინ რატომ გინდათ ფესტივალის ჩატარება?

– იმიტომ, რომ გვინდა, სახელმწიფომ გადადგას შესაბამისი ნაბიჯები.

❖ ❖ ❖

კარგა ხნის განმავლობაში ზურაბ ჯაფარიძეს ერთი ქალი ეკამათებოდა:

– თქვენი თავყრილობა დედაენის ბაღში რატომ იყო. თქვენ ბავშვებზე, ახალგაზრდებზე მუშაობთ? მე პედაგოგი ვარ. აუცილებლად დავიცავ ჩვენს შვილებს თქვენგან და თქვენნაირი ადამიანებისაგან.

– კარგით, მარიხუანის ლეგალიზაციის ფესტივალია, ამ სახით ტარდება.

– ის ხომ იცით, რომ საქართველოში მწეველთა რაოდენობა ძალიან გაიზარდა?

– არა, არ გაზრდილა.

– ესეც არ იცით, ე.ი. თქვენ ხალხთან ურთიერთობა არ გაქვთ.

– ვინმემ დათვალა, მანამდე რამდენი იყო?

– მე ვცხოვრობ გარკვეულ საზოგადოებაში და ამ საზოგადოების მდგომარეობა ძალიან კარგად ვიცი – სამეზობლოში, სამსახურში და .ა.შ. ცხადია, რომ მომხმარებელთა რაოდენობა გაიზარდა.

– არა, ქალბატონო, მანამდე პოლიცია მათ ციხეში სვამდა, ახლა აღარ სვამს და მათ ხედავთ, ეს არის და ეს.

– საზოგადოება შეთანხმდა იმაზე, რომ ისინი ციხეში არ უნდა ჩასვან, მაგრამ მკურნალობა აუცილებელია.

– არანაირი მკურნალობა, მათ მკურნალობა არ სჭირდებათ. მე გადავწყვეტ, მკურნალობა დამჭირდება თუ არა, თქვენ ვერ გადაწყვეტთ.

– თქვენ კანაფის პროპაგანდას ეწევით. ჩვენ რომ ნორმალური სახელმწიფო გვქონდეს, თქვენი მოღვაწეობით სახელმწიფო აუცილებლად უნდა დაინტერესდეს.

– გეთანხმებით, ქალბატონო, მეტი რა გავაკეთო. მე ვიცი, როგორ უნდა ვიცხოვრო. თქვენ იცით, როგორ უნდა იცხოვროთ თქვენ.

– სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, სად არის დანაშაული და სად

– არა. თქვენ რასაც აკეთებთ, მარიხუანის პროპაგანდაა, რაც დანაშაულია.

– არა, ეგ არ არის დანაშაული.

– ამას ამბობთ იმიტომ, რომ ისეთ სახელმწიფოში ვცხოვრობთ...

– პოლიცია მოდის და თავში მირტყამს უროს. მინდა ვუთხრა, რომ თავში ურო არ მირტყას. ჯერ პოლიცია შეგვეშვას, თავში უროს ნუ ჩაგვარტყამს, ამის შემდეგ ვილაპარაკოთ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ.

– სახელმწიფო რომ თავში უროს გირტყამდეთ, თქვენ პრეზიდენტობის კანდიდატი არ იქნებით, ვერც რეგისტრაციას გაივლიდით.

– რატომ ვერ გაივლიდი რეგისტრაციას?

– სახელმწიფო რომ უროს გირტყამდეთ, რეგისტრაციას ვერ გაივლიდით.

❖ ❖ ❖

ბოლოს **ზურაბ ჯაფარიძემ** განაცხადა:

– მარიხუანის მოწევისთვის ადამიანები არ უნდა ისჯებოდნენ. არ გვიტოვებენ გზას, რომ თავისუფლად მოვწიოთ. შეგვიძლია სახლში ჩუმად მოვწიოთ, ისიც, თუ ბავშვები სახლში არ იქნებიან. თუ მე დღეს ვერ დამიჭერენ, რადგან მე ვარ პოლიტიკოსი, ცნობადი სახე, პრეზიდენტობის კანდიდატი (და კიდევ რაღაც ბოდვები) და ვითომ რაღაც პოლიტიკური იმუნიტეტი მაქვს (ამის გამო ვერ უნდა დამიჭირონ) ახლა მე ჯიბეში მაქვს სამი ცალი „ჯოინთი“ და ამას დაგირიგებთ.

ზურაბ ჯაფარიძე ჯიბიდან იღებს სამ ცალ „ჯოინთს“, ერთს თვითონ უკიდებს და იწყებს მოწევას, ორს სხვებს აწვდის. ამის გაკეთება და შორიახლოს მდგარი პოლიციელები გაემართნენ მისკენ და ორივე მხრიდან ხელმოკიდებული ფერწასული ჯაფარიძე გაიყვანეს დედაენის ბაღიდან.

მის დაპატიმრებას ახალგაზრდების შეძახილები და გზის გადაკეტვის მცდელობა მოჰყვა, თუმცა, პოლიციამ მათ ამის საშუალება არ მისცა.

❖ ❖ ❖

„გირჩი“ – დადგა მომენტი, როცა ყველანი თავისუფლები ვართ – მადლობა შსს-ს, რომ დღეს ყველანი საკუთარ სახლებში დავიძინებთ“, – ასეთი განცხადება გაავრცელეს ნაპატიმრალმა და პოლიციაში დაკითხულმა გირჩელებმა.

სამართალდამცველებმა მარიხუანის ფესტივალთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ჩხრეკის ჩასატარებლად პოლიციის დაწესებულებაში 8 პირი გადაიყვანეს. მათ ჩაუტარდათ ჩხრეკა და გამოკითხვის შემდეგ გაათავისუფლეს. ჩხრეკის შედეგად ორი პირისგან ამოიღეს მცირე ოდენობით, სავარაუდოდ, ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა, რომელსაც უტარდება შესაბამისი ექსპერტიზა.

სამართალდამცველებმა, ასევე წვრილმანი ხულიგნობისა და პოლიციის მიმართ წინააღმდეგობისთვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით, დააკავეს 6 პირი.

პოლიციის მთავარ სამმართველოში გადაყვანილი ზურაბ ჯაფარიძე გაათავისუფლეს.

როგორც ზურაბ ჯაფარიძემ პოლიციის სამმართველოსთან ჟურნალისტებს განუცხადა, ის სამმართველოში შეამოწმეს და მისი პირადი ჩხრეკა ჩაატარეს.

ელშან ჰასანოვი: „ბოლტონი მუხთარლის საკითხით უნდა დაინტერესდეს“

აშშ-ის გავლენა სამხრეთ კავკასიაში იზრდება

მარიამ მჭედლიშვილი

უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველის ჯონ ბოლტონის სამუშაო ვიზიტმა რამდენიმე დღით გადაიწია. „ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ ბოლტონი მოსკოვის შემდეგ თბილისს, ერევანსა და ბაქოს ეწვევა.

ტურნეს ერთ-ერთ მთავარ მიზნად ისევ ირანი სახელდება. ამას დაემატება საშუალო და მცირე სიშორის რაკეტების ხელშეკრულებიდან აშშ-ის მოსალოდნელი გასვლის საკითხი, რაზეც ბოლტონი რუსეთის მაღალჩინოსნებს ესაუბრება.

არსებობს მოსაზრება, რომ მრჩეველი ამზადებს ნიადაგს ტრამპი-პუტინის კიდევ ერთი შეხვედრის მოსაწყობად.

„ქორი“ ბოლტონი რუსეთის მიმართ თავისი ხისტი პოზიციით გამორჩევა, თუმცა მრჩევლის პოზიციაზე ის იძულებულია, დაამყაროს ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან.

კავკასიელი პოლიტოლოგების შეფასებით, დონალდ ტრამპის მრჩევლის ვიზიტის წინ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების საგარეო ვექტორები ერთმანეთისაგან განსხვავებულად გამოიყურება – პროდასავლური საქართველო ცდილობს, გარკვეულად კონტაქტები იქონიოს რუსეთთან; რუსეთის მოკავშირე სომხეთი უახლოვდება დასავლეთს; აზერბაიჯანი ან ერთნაირად დაშორებულია მსოფლიო პოლიტიკის ცენტრებს, ან ერთნაირად დაახლოებულია მათთან. ბოლო დროს ბაქო აღრმავებს თანამშრომლობას მოსკოვთან, ვინაიდან თვლის, რომ კრემლის გარეშე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას ვერ აღადგენს.

აზერბაიჯანელი ანალიტიკოსების ნაწილს არ ესმის ბოლტონის ვიზიტის მიზანი. მათი აზრით, გერმანიის კანცლერის აზერბაიჯანში ჩამოსვლას კონკრეტული, გაზთან და მის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ამოცანა ჰქონდა, ბოლტონი კი ბაქოში უფრო ზრდილობისთვის ჩადის. ის ფიქრობს, რომ იქ თბილისისა და ერევნის შემდეგ შეივლის.

სომეხი მიმომხილველები აღიარებენ, რომ ძირითადი განსახილველი თემა ირანი იქნება, არ არის გამორიცხული მთიანი ყარაბაღის საკითხის წამოწევა. მათი სიტყვებით, სავარაუდოდ, ბოლტონი სირიაში სომეხი ჯარისკაცებისა და ექიმების მივლინებასაც შეეხება. ერევნის ეს ნაბიჯი ამერიკელებს არ მოსწონთ.

აზერბაიჯანელ უფლებადამცველებს თავიანთი გათვლები აქვთ. ისინი აუცილებლობად მიიჩნევენ, ტრამპის მრჩევლის წინაშე დააყენონ ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები. მათ შორის, აფგან მუხთარლის საქმე.

უფლებადამცველების თქმით, ჯონ ბოლტონმა მონაწილეობა უნდა მიიღოს მუხთარლის დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლებაში.

ისინი აცხადებენ, რომ 2017 წლის მაისში თბილისიდან გატაცებული ჟურნალისტი მუხთარლი მოგონილი ბრალდებით ზის ციხეში.

– დასავლეთი ხშირად მსხვერპლად სწირავს ადამიანის უფლებებს აზერბაიჯანში გეოპოლიტიკურ და ენერგეტიკულ ინტერესებს. აშშ-ს, როგორც ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სახელმწიფოს მსოფლიოში, აქვს ბერკეტები, მოახდინოს გავლენა აზერბაიჯანში ადამიანის უფლებების დაცვის სფეროზე – აცხადებს უფლებადამცველი ელშან ჰასანოვი.

მისი თქმით, აშშ-ის ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს ზომები აზერბაიჯანში დაპატიმრებული 150 პოლიტპატიმრის გასათავისუფლებლად.

ბოლტონის ტურნე რუსეთში 22 ოქტომბერს დაიწყება და 24 ოქტომბერს კავკასიაში დასრულდება.

ექსპერტების თქმით, აშშ-ის გავლენა სამხრეთ კავკასიაში იზრდება.

გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული ხვიჩა შარაშენიძის საქმე თავდაყირა დგება

ჯარისკაცს აგენტ-პროვოკატორი მიუგზავნეს?

გაუპატიურების ბრალდებით დაკავებული აგვისტოს ომის მონაწილის საქმე თავდაყირა დგება. სამხედროს ოჯახის მტკიცებით, დაზარალებული გოგო, რომლის ჩვენების საფუძველზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკის ოფიცერი ახლა ციხეში ზის, აგენტ-პროვოკატორია.

კურიერს სათვალთვალო კამერის ჩანაწერები ჩაუვარდა ხელში.

საქართველოს შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკის ოფიცერი 26 აგვისტოს დააკავეს. საქმის მასალების მიხედვით, მან მანქანაში საქართველოს ფოსტის თანამშრომლის გაუპატიურება სცადა. ხვიჩა შარაშენიძის და ამტკიცებს, რომ სამხედროს პოლიციაში აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით სცემეს.

კადრები, რომელიც კურიერს ხელში ჩაუვარდა, შავი ზღვის ქუჩაზეა გადაღებული, სადაც, თათია ცაგურიშვილის მტკიცებით, მას ჯარისკაცი აუპატიურებდა. დაზარალებული ამბობს, რომ ძალადობის შემდეგ ის გაიქცა, ტიროდა და მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქეებს დახმარებას სთხოვდა. კადრებში კი ჩანს, რომ ამ დროს თათია ცაგურიშვილი მანქანაში მშვიდად ზის და არავის დახმარებას არ სთხოვს.

ვიდეომასალაში, რომელიც ადვოკატმა მოიპოვა, ჩანს, რომ ჯარისკაცი გადმოსულია და გაფუჭებულ მანქანას აწვება.

ვიდეომასალის მიხედვით, თათია ცაგურიშვილი დახმარებას არ ითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ბენზინგასამართ სადგურზე დგას დაცვის სამსახურ ორბის ავტომანქანა, ავტომობილთან დადიან სადგურის ოპერატორები და ასევე, შემთხვევა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ხდება.

კადრებში ჩანს შავი ფერის „ჰონდა ფიტი“. მანქანა დიდი სისწრაფით აეროპორტის გზატკეცილზე მოძრაობს, მესამე ზოლიდან ავტომობილი მოულოდნელად გზას ჭრის და სოკარის სადგურზე ჩერდება, მძღოლი მიზანმიმართულად ჯარისკაცის მანქანისკენ მიდის და 10 წამში, გოგოსთან ერთად, მის ავტომობილთან ბრუნდება.

ახლა სამხედროს წინააღმდეგ მთავარი მოწმე სწორედ ამ შავი ავტომობილის მძღოლია. ის ჩვენებაში წერს, რომ ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტლიდან ღამის პირველ საათზე თავისი კუთვნილი ავტომანქანით გამოვიდა, არსად გაჩერებულა, კახეთის გზატკეცილზე კი მოულოდნელად გაფუჭებული მანქანა დაინახა და დახმარება გადაწყვიტა.

ხვიჩა შარაშენიძის ადვოკატი მოწმის ჩვენებაში უზუსტობებსა და საეჭვო გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას.

დაკავებული სამხედრო ხვიჩა შარაშენიძე, ჯარში დაბალი ანაზღაურების გამო, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ტაქსის მძღოლად მუშაობდა. ოჯახს ეჭვი აქვს, რომ აგვისტოს ომის მონაწილეს პროვოკაცია მოუწყვეს.

ხვიჩა შარაშენიძე ლოჯისტიკის სამსახურში მუშაობდა. სწორედ მისი სამსახურიდან დიდი რაოდენობით ტყვია-წამლის უკანონო რეალიზაციის ფაქტი ცოტა ხნის წინ თავდაცვის სამინისტრომაც დაადასტურა.

ოჯახი ვარაუდობს, რომ საბრძოლო მასალების უკანონო რეალიზების ფაქტზე შარაშენიძეს კონკრეტული ინფორმაცია ჰქონდა და ამიტომ ის დააკავეს.

ჯარისკაცის საქმეზე დაზარალებულად ცნობილი თათია ცაგურიშვილი კიდევ ერთ საქმეში ფიგურირებს.

რამდენიმე თვის წინ მოქალაქე ვასილ ჯავახიშვილი ამტკიცებდა, რომ 2009 წელს ტელეკომპანია მაესტროს შენობა საქართველოს რკინიგზის სამეთვალყურეო საბჭოს მოქმედი თავმჯდომარის, ოპოზიციის მაშინდელი ლიდერის, დავალებით ააფეთქა. ჯავახიშვილის თქმით, ამ ინფორმაციის გასაჯაროების შემდეგ მასაც აგენტ-პროვოკატორი თათია ცაგურიშვილი მიუგზავნეს.

რუსთავი 2

გიორგი გახარია: „მირზა სუბელიანის თემას მოვიკვლევთ“

შს მინისტრი მოზარდების მკვლელობის საქმის მოწმის მოსყიდვას ეხმაურება

ციხის მორიგ სკანდალურ ჩანაწერებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრო გამოძიებას იმ შემთხვევაში დაიწყებს, თუ თემის მოკვლევის შემდეგ დადასტურდება მცირედი ნაწილი მაინც იმისა, რაზეც მირზა სუბელიანი საუბრობს.

ამის შესახებ განცხადება გიორგი გახარიამ გააკეთა.

საუბარია ჩანაწერების იმ ეპიზოდზე, რომელშიც მირზა სუბელიანი ხორავას ქუჩაზე მოკლული მოზარდების საქმეზე საუბრობს და აცხადებს, რომ საქმის ერთ-ერთ მთავარ მოწმეს თანხა გადაუხადეს და ფული ეკლესიის შესაწირში დაუტოვეს.

შს მინისტრის თქმით, გამოძიების დაწყებისთანავე მოწმეზე ზეწოლისა და ზემოქმედების ბრალდებით უწყებამ 5-ზე მეტი პირი დააკავა. რაც შეეხება ჩანაწერების შინაარსს, ფაქტი იქნება გამოძიებული და თუ ის დადასტურდა, მონაწილე პირები დაისჯებიან.

– ეს იყო პირველი გამოძიება, როდესაც დაფარვის და მოწმეზე ზემოქმედების ბრალდებით გამოძიების ფარგლებში დაკავებული იყო 5-ზე მეტი პირი. ასეთი პრაქტიკა ადრე არ არსებობდა. იქ იყო რამდენიმე მუხლი, რომელიც პრაქტიკულად ჩვენ გავაცოცხლეთ.

ასეთი ინფორმაციის მიღების შემდგომ, სამართალდამცავი სისტემა და შსს მყისიერ რეაგირებას აძლევს და ჩვენ ამ თემას მოვიკვლევთ. იქ თუ იქნება მცირედი მაინც დადასტურება იმის, რომ მსგავს ფაქტს ჰქონდა ადგილი, რა თქმა უნდა, გამოძიება დაიწყება და დამნაშავე პირები იქნებიან დასჯილი, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

შს მინისტრი ჩანაწერის იმ ნაწილსაც ეხმაურება, რომელშიც მირზა სუბელიანი ქალაქის ყოფილ პროკურორზე საუბრობს.

საუბრიდან ირკვევა, რომ მირზა სუბელიანი გაბრაზებულია მიხეილ შაყულაშვილზე, რომელმაც პარლამენტში შექმნილ დროებით საგამოძიებო კომისიას მისგან განსხვავებული ჩვენება მისცა.

გიორგი გახარიას განცხადებით, გამოძიებამ უნდა დაადგინოს, ჰქონდა თუ არა ადგილი მიხეილ შაყულაშვილის მხრიდან რაიმე სახის სამართლებრივ გადაცდომას.

– ზუსტად შაყულაშვილის დარღვევების გამოსავლენად იყო შექმნილი საპარლამენტო კომისია, რომელმაც მუშაობა დაასრულა და თავისი დასკვნა დადო.

გეუბნებით, რომ ერთ მხარეს გვაქვს საპარლამენტო კომისიის დასკვნა და მეორე მხარეს გვაქვს პატიმარ მირზა სუბელიანის საუბარი, ფარული ჩანაწერი. საუბრის ფარული ჩანაწერი მის 3 სტუმართან. შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, ის პასუხები სამართლებრივი, რაც ეკუთვნის ამ ფარულ ჩანაწერს, გავცეთ და მხოლოდ ამის შემდეგ ვიმსჯელოთ ამაზე, რა ფუნქცია, როლი ან რაიმე დარღვევა განახორციელა ბატონმა შაყულაშვილმა, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

„მუშას ფეხებზე თითები არ ჰქონდა და ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო“

რუსთავში აფეთქების შედეგად 12 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 21 ოქტომბერს, რუსთავში ჟანგბადის ბალონი აფეთქდა, რის შედეგადაც 12 ადამიანი დაშავდა.

– მიმდინარეობდა ავტოფარეხის სადემონტაჟო სამუშაოები. არსებული ინფორმაციით, მოხდა ჟანგბადის ბალონის აფეთქება. ამ მომენტისთვის რუსთავის ორ საავადმყოფოში გადაყვანილია 12 პიროვნება სხვადასხვა სახის დაზიანებით. 9 პიროვნება არის ე.წ. აზოტის საავადმყოფოში, 3 კი – რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში. გარდაცვლილი არავინ არის. შეტყობინებიდან 4 წუთში 4 სახანძრო-სამაშველო ბრიგადა იყო ადგილზე, – განაცხადა ქვემო ქართლის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის მოადგილე დავით გელაშვილმა.

მისივე თქმით, დაშავებულთა შორის ძირითადად არიან არასრულწლოვნები, რომლებიც ეზოში მოედანზე თამაშობდნენ.

აფეთქების შედეგად 3 საცხოვრებელ კორპუსში ფანჯრის მინები თითქმის სრულად არის ჩამსხვრეული ან დაზიანებული, რის გამოც, უსაფრთხოების მიზნით, მოსახლეობის კორპუსებიდან ევაკუირება განხორციელდა.

აფეთქებისას დაზიანდა გაზის მილი, რის შემდეგაც მთლიანად კორპუსში ბუნებრივი აირის მიწოდება შეწყვეტილი იყო.

მერიის პრესსამსახურში ამბობენ, რომ ისინი ავტოფარეხის დემონტაჟის პროცესებში ჩართული არ ყოფილან და მეპატრონეს კერძო პირები ჰყავდა დაქირავებული, რომლებიც დემონტაჟის სამუშაოებს ახორციელებდნენ.

ადგილობრივების თქმით, აფეთქება საკმაოდ ძლიერი იყო.

– ბალონი, რომელიც აფეთქდა, იქით გადააგდო. მუშა კიდე გარაჟიდან აქეთ ისროლა. ერთ-ერთ მუშას, რომელიც ჭრიდა, აუფეთქდა ბალონი, რითიც მუშაობდნენ და შიგნით კიდევ ყოფილა მეორე ბალონი და ისიც აფეთქდა. როგორც შევხედეთ, მუშას ფეხებზე თითები არ ჰქონდა და ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო, – ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი.

ნაცემი 4 წლის ბავშვის დედა საბავშვო ბაღის პედაგოგსა და დირექტორს ადანაშაულებს

ბათუმის მცხოვრები მარიკა ვაშაყმაძე კერძო საბავშვო ბაღის „მადაგასკარის“ პედაგოგს – შვილის ცემაში, დირექტორს კი შეურაცხყოფასა და მუქარაში ადანაშაულებს.

4 წლის ბიჭის დედის განცხადებით, ბავშვს სხეულზე მრავლობითი დაზიანებები ჰქონდა. ფაქტის შესახებ ბავშვმა თავად მოუყვა და ერთ-ერთი პედაგოგი დაადანაშაულა.

– ორივე ხელზე აქვს დაზიანებები. ეტყობა, ვიღაცამ შეანჯღრია. ბავშვს რომ ვკითხე, დაასახელა მისი პედაგოგი. ასევე თქვა, რომ სახეში გაარტყა. დავრეკე პოლიციაში, გამოკითხეს ბავშვი ფსიქოლოგებთან ერთად. იგივე გაიმეორა. სკოლის დირექტორმა ფაქტი უარყო, მოგვიანებით კი სოციალურ ქსელში საჯაროდ შეურაცხყოფა მომაყენა და ბავშვის ცემაში მე დამადანაშაულა. პედაგოგმა დამირეკა და პრინციპში არც უარყო ფაქტი. ახსნა, რომ თოჯინების სპექტაკლი დავდგითო, ბავშვებმა იჩხუბეს და მაგ დროს მიიღებდა სავარაუდოდ დაზიანებასო, – განაცხადა მარიკა ვაშაყმაძემ.

ფაქტზე გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო.

დირექტორი ბრალდებებს უარყოფს და მშობელს პროვოკაციაში ადანაშაულებს.

შსს-მ სამეგრელოში განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკი ამოიღო

დაკავებულია 2 პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1964 წელს დაბადებული გ.გ. და 1976 წელს დაბადებული ვ.ხ. დააკავეს.



როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყებიდან აცნობეს, ჩადენილი დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა, ორივე ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება „სუბოქსინის“ 66 აბი, რაზეც დანიშნულია ექსპერტიზა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შს სამინისტროს ინფორმაციაში.

ქვახვრელში სამმა არასრულწლოვანმა სურსათის მაღაზია გაქურდა

გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელში სურსათის მაღაზია გაქურდეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის“ ცნობით, მაღაზიიდან წაღებულია 30 ლარამდე ღირებულების პროდუქცია.

როგორც შსს-ში აცხადებენ, ფაქტზე მხილებულია 3 არასრულწლოვანი.

გამოძიება ქურდობის მუხლით მიმდინარეობს.

გიორგი დეკანოიძის გატაცებაში ასტამურ შამბაა გარეული?

ბიზნესმენ ამირან დეკანოიძის შვილის გიორგი დეკანოიძის გატაცებაში ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ. მოსამართლემ სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და კალისტრატე ერქვაიას, მამუკა მარგველაშვილს, გოჩა ჩეჩელაშვილს, თემურ კენჭაძეს, მამუკა ესაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

დაცვის მხარე ბრალდებულების მიმართ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ დაცვის არგუმენტები არ გაიზიარა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულებმა 1995 წელს დაბადებულ ახალგაზრდას თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და გაურკვეველი მიმართულებით გაიტაცეს.

* * *

გიორგი დეკანოიძის გატაცების საქმის მასალების მიხედვით ირკვევა, რომ გამტაცებლების თანამზრახველები ოკუპირებულ აფხაზეთში არიან გადასულები.

აღნიშნულ დეტალებზე საქმის პროკურორმა ბექა ხუნაშვილმა სასამართლოზე ისაუბრა.

პროკურორის ინფორმაციით, წყალტუბოში გადაყვანამდე გიორგი დეკანოიძე მოტყუებით მუხიანში, ნაქირავებ ბინაში აიყვანეს და სიცოცხლისთვის საშიში ძალადობის განხორციელების გზით თავისუფლება აღუკვეთეს.

დეკანოიძე მუხიანში ორი დღე ჰყავდათ დატყვევებული, რის შემდეგაც ის წყალტუბოში გადაიყვანეს.

ამასთან, გიორგი დეკანოიძეს ვიდეოც გადაუღეს, რომელიც, სავარაუდოდ, მამისთვის უნდა გაეგზავნათ.

რაც შეეხება ოკუპირებულ აფხაზეთში გადასულ დანაშაულის მონაწილე სავარაუდო სხვა პირებს, პროკურორმა ამ საკითხზე მიმალვის საფრთხის დასაბუთებისას ისაუბრა.

ბექა ხუნაშვილის თქმით, ბრალდებულებს ჰყავდათ თანამზრახველები და დასადგენია როგორც გატაცების ორგანიზატორი, ასევე იმ ქალის იდენტიფიცირებაა მოსახდენი, რომელიც ვერონიკა პაპინას სახელით მოქმედებდა.

პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ გამოძიება მუშაობს იმის დასადგენად თუ ვინ ახორციელებდა ზარებს გამოძიებისთვის კვალის ასარევად საქართველოს არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან და ვინ გადაუღო გატაცებულს ვიდეო.

პროკურორმა თქვა, რომ თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში შესაძლოა ბრალდებულები ასევე გადავიდნენ საქართველოს არაკონტროლირებად ტერიტორიაზე და მიემალონ მართლმსაჯულებას, ასევე დაუკავშირდნენ სავარაუდო თანამზრახველებს და გააფრთხილონ ისინი საგამოძიებო მოქმედებების მიმდინარეობის შესახებ.

გარდა ამისა, პროკურორის თქმით, არსებობს ასევე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეები და აქედან გამომდინარე, სახელმწიფო ბრალდება ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას ითხოვს.

პროკურორის შუამდგომლობას დაცვის მხარე არ დაეთანხმა. სამი ბრალდებულის – კალისტრატე ერქვაიას, მამუკა ესაძისა და თემურ კენჭაძის ადვოკატმა მისი დაცვის ქვეშ მყოფების 10 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ, მამუკა მარგველაშვილის ადვოკატმა 1000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლება მოითხოვა, გოჩა ჩეჩელაშვილის ინტერესების დამცველმა კი სასამართლოს წინაშე ბრალდებულის აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვების შუამდგომლობით მიმართა.

* * *

თემურ კენჭაძის ადვოკატი მიიჩნევს, რომ მოსამართლის გადაწყვეტილება აღკვეთის ღონისძიების შეფარდებაზე დაუსაბუთებელია.

როგორც ჟურნალისტებს ადვოკატმა ალექსანდრე ამირხანაშვილმა განუცხადა, კენჭაძეს არავითარ გატაცებაში არ მიუღია მონაწილეობა. ადვოკატის თქმით, არ დადასტურდება არც ის ინფორმაცია, რომელიც პროკურორმა პროცესზე გააჟღერა, რომ კენჭაძემ სამართალდამცველებისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

– სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული ვერ იქნება ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების თაობაზე.

ბრალდების მხარის მიერ გაჟღერებული ინფორმაცია, თითქოსდა თეიმურაზ კენჭაძემ იარაღის გამოყენებით წინააღმდეგობის გაწევა სცადა სამართალდამცველებისთვის, არის მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების თეორიული მსჯელობა და დროთა განმავლობაში, გამოძიების პროცესში ეს არანაირად არ დადასტურდება. იარაღი მას არ ეკუთვნოდა. მას არანაირ გატაცებაში, წაყვანაში, დაბინავებაში და მსგავს რამეში მონაწილეობა არ მიუღია. თეიმურაზ კენჭაძე წარდგენილ ბრალდებაში თავს უდანაშაულოდ ცნობს, – განაცხადა ადვოკატმა.

ამასთან, ადვოკატის ინფორმაციით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი მუხიანში არ იმყოფებოდა, სადაც, გამოძიების ვერსიით, გიორგი დეკანოიძეს თავდაპირველად თავისუფლება აღუკვეთეს.

* * *

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა, საქმეში ჩართული ყოფილიყო აფხაზეთში მოქმედი კრიმინალური ავტორიტეტი ასტამურ შამბა, პროკურორმა უპასუხა, რომ გამოძიების პროცესში ყველა ვერსია მუშავდება.

– საქმეზე გამოძიება გრძელდება. არანაირ ვერსიას არ გამოვრიცხავთ და ყველა ვერსიას შევისწავლით, – აღნიშნა პროკურორმა.

რაც შეეხება საქმეზე დაკავებული 10 პირიდან ხუთის გათავისუფლებას, ბექა ხუნაშვილს არ დაუკონკრეტებია, თუ რა მიზეზით არ წაუყენეს ამ ადამიანებს ბრალი.

ამასთან, პროკურორი მიიჩნევს, რომ 5 ბრალდებულთან მიმართებაში სასამართლომ კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო და მათ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეუფარდა.

– ჩვენს ინტერესებში არანაირად არ შედიოდა მათი მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელება, მტკიცებულებების განადგურება თუ მიმალვა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბუნებრივია, ჩვენი ეს არგუმენტაცია გაიზიარა.

გამოძიება გრძელდება. ამ 5 პირის გარდა, იდენტიფიცირებული უნდა იყვნენ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სხვა სავარაუდო წევრები. მე, როგორც პროკურორი, გარწმუნებთ, რომ თითოეული პირი, რომელსაც დაუდგინდება მიზეზობრივი ბრალეული კავშირი ამ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ფაქტზე, კანონის ფარგლებში სამაგალითოდ იქნება დასჯილი, – განაცხადა ბექა ხუნაშვილმა.

რუსთავში მამაკაცმა ქალის გაუპატიურება ცადა

ქალმა მას თითზე უკბინა

რუსთავში, 21-ე მიკრორაიონში, ერთ-ერთი საცხოვრებელი კორპუსის სადარბაზოში, საღამოს საათებში ახალგაზრდა ქალს მამაკაცი თავს დაესხა და მისი გაუპატიურება ცადა.

დაზარალებულის დედამ „ინფო რუსთავთან“ საუბრისას თქვა, რომ 35 წლამდე მამაკაცი მის შვილს გზიდან აედევნა და სადარბაზოში შეჰყვა, პირზე ხელი ააფარა, არ შემომხედოო, უთხრა და მასზე სექსუალური ძალადობა ცადა.

მისივე თქმით, დაზარალებულმა მამაკაცს უთხრა, რომ მისცემდა ყველა იმ ნივთს, რომელიც მას თან ჰქონდა, მაგრამ თავდასხმის მოტივი ეს არ ყოფილა.

ახალგაზრდა ქალი ყვიროდა და შველას ითხოვდა, ცდილობდა, მამაკაცს გასაუბრებოდა და გადაერწმუნებინა განზრახვის სისრულეში მოყვანაში, თუმცა – უშედეგოდ, ბოლოს კი თავდამსხმელისგან თავის დასაღწევად მას თითზე უკბინა.

გზაზე მიმავალმა გოგონამ სადარბაზოდან ხმაური გაიგო, მიხვდა, რომ ადგილი ჰქონდა ძალადობას და 112-ში დარეკა.

მალევე შემთხვევის ადგილზე მივიდნენ სასწრაფო დახმარების, საპატრულო და კრიმინალური პოლიციის ეკიპაჟები. მამაკაცმა მიმალვა მოახერხა, თუმცა ის მეზობელ ეზოში პოლიციამ მალევე დაიკავა.

შსს-ში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, რომ ფაქტზე გამოძიება დაწყებულია სსკ 126-ე მუხლით, რაც ნიშნავს ძალადობას და ასევე 150-ე მუხლით, რაც ადამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას გულისხმობს.

ჩიქოვანის ქუჩაზე 50 წლის ირანელი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

გუშინ, 21 ოქტომბერს, თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელ ბინაში 50 წლის ასაკის ირანის მოქალაქე მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს, ხოლო 3 ახალგაზრდა საავადმყოფოში გადაიყვანეს.

როგორც მეზობლები აცხადებენ, მათ ბინა რამდენიმე თვის ნაქირავები ჰქონდათ.

პირველი არხის ინფორმაციით, გარდაცვალება, სავარაუდოდ, მოწამვლას უკავშირდება, თუმცა, კონკრეტულად რა ნივთიერებით დაიღუპა კაცი, ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვთ.

მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

– გარდაცვალების მიზეზს ექსპერტიზა დაადგენს, – აცხადებენ უწყებაში.

ხულოში ხანძარში დაიღუპნენ 76 წლის შშმ კაცი და 20 წლის გოგონა, რომელიც მის გადარჩენას ცდილობდა

ხულოს მუნიციპალიტეტის ღორჯომის თემის სოფელ ჭახაურში ორი საცხოვრებელი სახლი დაიწვა თავისი დამხმარე ნაგებობებით.

ერთ-ერთი მოქალაქის ინფორმაციით, რომელსაც ფეისბუქლაივი ჰქონდა ჩართული, ხანძარმა ორი პირი იმსხვერპლა.

ხულოს მერიის პრესცენტრის ინფორმაციით, დაიღუპა 76 წლამდე კაცი, რომელიც შშმ პირი იყო და 20 წლამდე გოგო.

„ბათუმელებს“ შემთხვევის ადგილზე უთხრეს, რომ გოგონა სწორედ შშმ პირის გადარჩენას ცდილობდა, მაგრამ თავადაც დაიღუპა.

შემთხვევის ადგილზე ხულო-ქედა-შუახევის სახანძრო მანქანები გავიდნენ.

მოქალაქის ინფორმაციით, რომელსაც ფეისბუქლაივი ჰქონდა ჩართული, გზებზე გაჩერებული ტრანსპორტის გამო სახანძროს მანქანები შეფერხებით გადაადგილდებოდნენ.

ნარკოდანაშაულისთვის ფონიჭალაში 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 1992 წელს დაბადებული ე.კ. ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ბრალდებით ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, დანაშაული 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას 18 შეკვრად დაფასოებული ნარკოტიკული საშუალება ჰეროინი ნივთმტკიცებად ამოიღეს.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია შს სამინისტროს განცხადებაში.

ბათუმში დედამ 2 თვის შვილი გაყიდა

კორუფციასთან ბრძოლის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელის მტკიცებით, ბათუმში დედამ შვილი გაყიდა.

მერაბ ღოღობერიძე აცხადებს, რომ მოსკოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ქალმა დაახლოებით 2 თვის შვილი ფულის სანაცვლოდ სხვას მიჰყიდა.

ადგილზე მისულებს მცირეწლოვანის დედა სახლში არ დახვდათ, რის შემდეგაც არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა პოლიცია გამოიძახა.

– რადგან ოჯახი აქ აღარ დაგვხვდა, პოლიციას შევატყობინე. როგორც გვითხრეს, მისამართი შეიცვალეს და მიმდებარედ, სხვა სახლში გადავიდნენ საცხოვრებლად, – აცხადებს ღოღობერიძე.

შსს-მ ბავშვის გაყიდვის შეტყობინებაზე წინასაგამოძიებო მოქმედებები დაიწყო.

თელავში ავარიას შუახნის ქალი ემსხვერპლა

თელავში ავარიას შუახნის ქალი ემსხვერპლა.

შემთხვევა რუსთაველი ქუჩაზე იმ დროს მოხდა, როცა ქალი გზაზე გადასვლას ცდილობდა. ქალს მაღალი სისწრაფით მოძრავი ავტომობილი დაეჯახა. ის ადგილზე გარდაიცვალა.

მომხდარზე გამოძიება ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის მუხლით დაიწყო, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

70.000 ლარის გამოძალვისთვის წარსულში რამდენიმეჯერ ნასამართლევი პირი დააკავეს

ფულის გამოძალვისა და ძალადობისთვის სამართალდამცველებმა წარსულში რამდენიმეჯერ ნასამართლევი პირი დააკავეს. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 1988 წელს დაბადებული გ.გ. მიმდინარე წლის 10 სექტემბერს ერთ-ერთ მოქალაქეს, 1983 წელს დაბადებულ ლ.კ.-ს შეხვდა. მან ლ.კ.-ს, ყოფილი ბიზნეს-პარტნიორისთვის ვალის დაბრუნების მოტივით, თვითნებურად განსაზღვრული თანხის – 70.000 ლარის გადახდა მოსთხოვა. ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში კი მისი და მისი ოჯახის წევრების ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობის გამოყენებით დაემუქრა.

აღნიშნული შეხვედრიდან ერთი თვის შემდეგ, 11 ოქტომბერს, გ.გ. კვლავ შეხვდა ლ.კ.-ს, რა დროსაც მას, თანხის გადაუხდელობის გამო, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.

სამართალდამცველებმა მოძალადე გამომძალველი მომხდარიდან რამდენიმე დღეში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისის ზღვის უბნის დასახლებაში დააკავეს.

გამოძიება ორჯერ ან მეტჯერ ნასამართლევი პირის მიერ დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით გამოძალვისა და ძალადობის ფაქტებზე, სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

აშშ რუსეთთან დადებული სარაკეტო შეთანხმებიდან გადის

აშშ გავა ხელშეკრულებიდან საშუალო და მცირე რაკეტების შესახებ, რომელიც თავის დროზე რუსეთთან დადო.

ამის თაობაზე პრეზიდენტმა ტრამპმა განაცხადა.

– რუსები ამ შეთანხმებას სისტემატურად არღვევენ. მის არსებობასაც აზრი აღარ აქვს, – ამბობს ტრამპი.

აშშ-ის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ მისი წინამორბედი ობამა სრულად იყო ინფორმირებული იმაზე, რომ პუტინი ამ შეთანხმებას არღვევდა. მიუხედავად ამისა, ობამა სირაქლემის პოზაში იდგა. შედეგად მივიღეთ აბსურდი: ამერიკელები შეთანხმებას იცავდნენ, რუსები კი იარაღდებოდნენ.

– ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, – განაცხადა ტრამპმა.

ინგლისელები ბრექსიტის წინააღმდეგ

ლონდონში გაიმართა მასობრივი საპროტესტო აქცია, რომელშიც 600.000-მდე ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

მანიფესტანტები ბრექსიტის წინააღმდეგ გამოვიდნენ და ხელმეორე რეფერენდუმის გამართვას მოითხოვდნენ.

ბრექსიტის წინააღმდეგ ესოდენ მასობრივი საპროტესტო აქცია ჯერ არ გამართულა.

ავღანეთი: არჩევნები ბომბების თანხლებით

ავღანეთი ახალ პარლამენტს ირჩევს. ამას ტერორისტების გააქტიურება მოჰყვა. აფეთქებები მოხდა როგორც ქაბულში, აგრეთვე პროვინციებსა და ტაჯიკეთ-ავღანეთის საზღვარზე.

ტერაქტებისას 27 ადამიანია დაღუპული.

წინასწარი მონაცემებით, არჩევნების შედეგები ნოემბერში გამოქვეყნდება.

ჟურნალისტი ჰაშოგი საუდის არაბეთის საელჩოში დაიღუპა

ჟურნალისტი ჰაშოგი საუდის არაბეთის საელჩოში დაიღუპა. ამის თაობაზე საუდის არაბეთის სახელისუფლებო მედია იტყობინება.

თანახმად მისი ცნობისა, საელჩოს შენობაში ატყდა ჩხუბი, რის შედეგადაც ჰაშოგი დაიღუპა.

ჟურნალისტის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით საუდის არაბეთის 18 მოქალაქეა დაპატიმრებული. მეფის მრჩეველი და დაზვერვის უფროსის მოადგილე კი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

ტრამპმა საუდის არაბეთის მიმართ სანქციების დაწესება არ გამორიცხა, თუმცა დაამატა, რომ ამ საკითხში აჩქარება არ არის საჭირო.

– აშშ-თვის საუდის არაბეთთან ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, – თქვა ტრამპმა.

მაკედონიას სახელი შეეცვლება

მაკედონიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა რესპუბლიკისთვის სახელის გადარქმევას. ამიერიდან მას ჩრდილოეთ მაკედონია ეწოდება.

ამ გადაწყვეტილებით წერტილი ესმება კარგა ხნის დავას საბერძნეთთან. ოფიციალური ათენი თვლიდა, რომ მაკედონიად მხოლოდ საბერძნეთის ერთ-ერთი პროვინცია შეიძლება იწოდებოდეს და მაკედონიის ნატოში გაწევრიანებას ბლოკავდა.

პაკისტანი ინდოეთ-რუსეთის შეთანხმების წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, ინდოეთის მთავრობამ ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთთან საზენიტო-სარაკეტო კომპლექსების მიწოდების თაობაზე.

პაკისტანის ხელისუფლებამ ამას ომის გაჩაღებისკენ წაქეზება უწოდა.

– რუსეთი ცდილობს, ინდოეთი შეაიარაღოს, ამიტომ აწვდის რაკეტებს. პაკისტანს გააჩნია ყველა საშუალება, რათა ამას წინ აღუდგეს, – ნათქვამია პაკისტანის მთავრობის განცხადებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ათენში კანადის საელჩოს თავს დაესხნენ

ათენის გარეუბანში მდებარე კანადის საელჩოს 10-კაციანი ჯგუფი დაესხა თავს, რომლებმაც ეროების გამოყენებით ფანჯრები ჩაამსხვრიეს.

ამის შესახებ ადგილობრივი მედია იუწყება.

თავდამსხმელებმა საელჩოს შენობის ფასადს შავი და წითელი საღებავები ესროლეს. ყველა მათგანს სახე დაფარული ჰქონდა.

საელჩოს დაცვის სამსახურმა პოლიცია გამოიძახა. სათვალთვალო კადრებით აღმოჩნდა, რომ თავდამსხმელები მოტოციკლებით მივიდნენ, რომლებიც მათ სუპერმარკეტთან, საელჩოდან 150 მეტრის დაშორებით გააჩერეს.

მომხდართან დაკავშირებით ერთი მამაკაცი დააკავეს, რომელიც მოგვიანებით გაათავისუფლეს.

ჩინელი უნიტაზში გაიჭედა



ჩინელ მამაკაცს სადილისთვის ნაყიდი თევზი უნიტაზში ჩაუვარდა, მისი ამოღება ცადა, მაგრამ გაიჭედა.

ინციდენტი ხუბეის პროვინციის ქალაქ სიანიანში მოხდა. მამაკაცის თქმით, მას თევზი ხელიდან გაუსხლტა და უნიტაზში ჩახტა. კაცმა თევზის ამოსაყვანად მარჯვენა ხელი უნიტაზში ბოლომდე ჩაყო და მალე მიხვდა, რომ მის უკან ამოღებას ვეღარ ახერხებდა. მეზობლებმა მის დასახმარებლად მაშველები გამოიძახეს.

შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა უნიტაზი ჩაქუჩისა და ბურღის დახმარებით დაამტვრიეს, თევზის დაჭერა კი მამაკაცმა მაინც ვერ შეძლო.

ჩინელი ინტერნეტმომხმარებლები უკიდურესად გააკვირვა იმან, რომ მამაკაცმა თევზის უნიტაზიდან ხელით ამოყვანა გადაწყვიტა.

– ნუთუ ის იმ თევზის ჭამას მოინდომებდა, მისი უნიტაზიდან ამოყვანა რომ მოეხერხებინა, – დაწერა კომენტარში ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა.

ქალმა ათეულობით ადამიანი გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა

ინდოელმა ქალბატონმა ხალხი ხანძრის შესახებ გააფრთხილა, თავად კი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი საინფორმაციო სააგენტო ავრცელებს.

ტრაგედია ქალაქ ნიუ-დელისი მოხდა. 34 წლის ქალს, სახელად სვატის, რომელიც ოჯახთან ერთად მეხუთე სართულზე ცხოვრობდა, ღამით გაეღვიძა და კვამლის სუნი იგრძნო, შესასვლელი კარი გააღო და ცეცხლი დაინახა, რომელიც კიბეზე იყო მოდებული.

სვატიმ დაუყოვნებლივ გააღვიძა მეუღლე და თავისი ოთხი წლის გოგონა და ისინი ქვევით, გასასვლელისკენ გაგზავნა, თავად კი სართულებზე დაიწყო სირბილი, მეზობლებს აღვიძებდა და ხანძრის შესახებ ატყობინებდა. მეათე სართულზე ცეცხლმა ქვევით ჩასასვლელი გზა გადაუღობა. ის სახურავისკენ გაიქცა, მაგრამ ზევით ასასვლელი კარი ჩაკეტილი დახვდა და გარეთ გასვლა ვერ მოახერხა.

მეხანძრეებმა მისი ცხედარი სახურავზე ასასვლელ ჩაკეტილ კართან ნახეს. სვატი კვამლმა გაგუდა.

მოკლულმა ციყვმა მონადირეზე შური იძია

ამერიკელმა მონადირემ მოკლა ციყვი, მისი ტვინი შეჭამა და სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადება შეეყარა.

მამაკაცი ნიუ იორკის შტატის ქალაქ როჩესტერის საავადმყოფოში მიიყვანეს. 61 წლის პაციენტი უჩიოდა გონების გაფანტვას, რეალობის აღქმის უუნარობას და დამოუკიდებლად ვეღარ გადაადგილდებოდა.

ექიმებმა მას კვლევა ჩაუტარეს, რომელმაც აჩვენა, რომ მას კრეიცფელდტიაკობის დაავადების სახესხვაობა სჭირდა. ეს ტვინის დაავადებაა, რომლის დროსაც მისი უჯრები ნადგურდება. ეს დაავადება ასევე ძროხის ცოფის სახელწოდებითაცაა ცნობილი, ვინაიდან ადამიანები ყველაზე ხშირად სწორედ დასნებოვნებული ძროხებისგან ავადდებიან.

თუმცა მამაკაცის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ ის დასნებოვნდა არა ძროხის, არამედ ციყვისგან. უცნობია, მან მისი ტვინი სპეციალურად შეჭამა თუ, უბრალოდ, მისი ნაწილი ხორცის ნაჭრებს შეერია. ექიმებმა მამაკაცის გადარჩენა ვერ შეძლეს. ის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

კნუტებმა ათი დღე ჩაკეტილ მანქანაში გაძლეს

სამი კნუტი მანქანაში შეძვრა და ათი დღე ჩაკეტილ მანქანაში წყლისა და საკვების გარეშე გაძლეს. ამ დროის განმავლობაში მათ კვიპროსიდან დიდ ბრიტანეთში იმოგზაურეს.

პატარა ცხოველები სამხედრო გემზე მოთავსებულ ერთ-ერთ მანქანაში აღმოაჩინეს, რომელიც კვიპროსის ქალაქ ლიმასოლიდან დიდი ბრიტანეთის ქალაქ საუთჰემპტონში მიემგზავრებოდა.

– მეზღვაურები გაკვირვებული დარჩნენ, როდესაც მანქანის მინის მიღმა სამი კნუტი შენიშნეს, – განაცხადა ხომალდის აგენტმა პატრიკ ფორტრუმმა. მან სასწაული უწოდა იმ ფაქტს, რომ კნუტები გადარჩნენ და თავს კარგად გრძნობდნენ. მისი თქმით, კნუტები მხიარულები ჩანდნენ და ადამიანების სრულიადაც არ ეშინოდათ.

კნუტებს, რომლებიც დაახლოებით სამი-ოთხი კვირის დაბადებულები იქნებიან, დაარქვეს ნეპტუნი, სინდბადი და გალათეა.

ტაქსის მძღოლმა ჩაძინებული მგზავრი მანქანიდან გზის პირას გადმოაგდო

მძღოლმა მძინარე მგზავრი ქალი კონეკტიკუტში გზატკეცილის გზის პირას მანქანიდან გადმოაგდო, რის შემდეგაც მასაჩუსეტსში გაემგზავრა და იქ ამ მგზავრობისთვის ათას დოლარზე მეტი მიიღო.

გოგონამ, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, ტაქსი შეუკვეთა, რათა ნიუ იორკიდან უაიტ-პლეინსში ჩასულიყო. შეკვეთა 24 წლის ჰარბირ პარმარმა მიიღო და მგზავრი ჰორვარდ-ბიჩის რაიონში აიყვანა. სასამართლოს საბუთებში აღნიშნულია, რომ ქალმა ჩათვლიმა და იმან გამოაღვიძა, რომ ბლუზის ქვეშ ვიღაცის ხელები იგრძნო, რომლებიც მკერდზე ეხებოდა.

პარმარი თავის სავარძელს დაუბრუნდა და ისე გააგრძელა მგზავრობა, თითქოს არაფერი მომხდარიყო. ქალი მიხვდა, რომ მისთვის უცნობ ადგილას იმყოფებოდა. მან მძღოლს ჯერ სახლში, შემდეგ კი პოლიციის განყოფილებაში მიყვანა მოსთხოვა. ამის მაგივრად მძღოლმა ის მანქანიდან მისი სახლიდან თითქმის 100 კილომეტრის მოშორებით გადმოაგდო.

შეშინებულმა ქალმა მაღაზიამდე მიაღწია, იქიდან სხვა ტაქსი გამოიძახა და ასე მიაღწია სახლამდე. მოგვიანებით მან აღმოაჩინა, რომ მისი საკრედიტო ბარათიდან მგზავრობის საფასურად 1047 დოლარი იყო მოხსნილი.

ჰარბირ პარმას ადამიანის მოტაცება ედება ბრალად, რისთვისაც სამუდამო პატიმრობა ემუქრება. გამოძიების დროს კი გაირკვა, რომ მან 11 შეკვეთა ბოლომდე არ დაასრულა და მათზე 3,6 ათასი დოლარი გამოიმუშავა. ბრალდებულის ადვოკატმა კომენტარზე უარი განაცხადა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ფაჩულია იგებს, შენგელია აგებს

ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მეორე მატჩი მოიგო დეტროიტ პისტონსმა, რომლის ღირსებასაც ქართველი ზაზა ფაჩულია იცავს. დეტროიტელებმა მორიგი მატჩი ჩიკაგოში ბულსთან დაძაბულ ბრძოლაში – 118:116 მოიგეს.

ქართველი ლეგიონერი სათადარიგო იყო და ძირითადი ცენტრის – ანდრე დრამონდის ჭარბი პერსონალურების გამო მოედანზე საკმაოდ დიდი ხნით – 23 წუთით გამოჩნდა. ფაჩულიამ 7-დან მხოლოდ 1 ორქულიანი ჩააგდო, რასაც 6-დან 3 საჯარიმო

მოაყოლა და მთლიანობაში 5 ქულა, 8 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა.

დრამონდმა 24 წუთი ითამაშა და 6 პერსონალურის გამო მოედნიდან გავარდა. მის ანგარიშზე 10 ქულა და 13 მოხსნა გახლდათ. დრამონდის არყოფნაში ბლეიკ გრიფინმა გაილაღა, რომელმაც 33 ქულა, 12 მოხსნა და 5 პასი მიითვალა და დეტროიტმა სტუმრად საკმაოდ მძლავრი მეტოქე დაამარცხა.

2-დან 2 მოგებით დეტროიტი აღმოსავლეთი კონფერენციის ლიდერებშია, მორიგ მატჩს კი შინ ფილადელფიასთან გამართავს.

თორნიკე შენგელიასა და მეტ ჯენინგის ბასკონიამ ევროლიგის ესპანურ დერბიში მადრიდის რეალის წინააღმდეგ მადრიდში ითამაშა და 18 ქულით დამარცხდა. მესამე პერიოდის მიწურულისკენ ანგარიში თანაბარი იყო, თუმცა დარჩენილ დროში მასპინძლებმა ბასკონიელთა წინააღმდეგობა საბოლოოდ გატეხეს და დამაჯერებლად – 97:79 იმარჯვეს.

შენგელია სასტარტო ხუთეულში გახლდათ და მოედანზე 23 წუთი გაატარა. თორნიკემ 9-დან 4 ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო და 9 ქულასთან ერთად 3 მოხსნა, 2 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა.

საქართველოს ნაკრების ნატურალიზებულმა ამერიკელმა წევრმა მეტ ჯენინგმა 27 წუთში 10 ქულა, 4 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა. ჯენინგმა 4-დან 2 ორქულიანი და 6-დან 2 სამქულიანი გამოიყენა.

ბასკონიას 1 მოგება და 2 მარცხი მოუგროვდა და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზე იმყოფება, მომდევნო შეხვედრას სტუმრად, მიუნხენის ბაიერნთან გამართავს.

ჩიხურა ევროსაგზურისთვის ბრძოლაში ხელმეორედ ჩაერთო

ჩიხურა-დილა 2:1

ივანწმინდა. ცენტრალური

1:0, 2:0 სარდალიშვილი (39, 44), 2:1 ქავთარაძე (63)

ჩიხურა: ჰამზიჩი, ჩიტეიშვილი, მირცხულავა, მარკოზაშვილი, მაისაშვილი, გაბედავა, კახაბრიშვილი (ბუღრიძე 46), კაკუბავა, ჩიკვაიძე, მეგრელიშვილი (დობროვოლსკი 61), სარდალიშვილი (ბუხაიძე 90)

დილა: გუგეშაშვილი, ჩადუნელი, რაზმაძე, ქავთარაძე, რაჟამაშვილი (ჯუფი 460, ნონიკაშვილი (ბაბუ 79), კორიფაძე (სამუშია 86), კოვტალიუკი, სანტოსი, რიბეირუ, სუხიაშვილი

ორივე გუნდი ევრორსაგზურებისთვის იბრძვის და ამჯერად უპირატესობა საჩხერის ჩიხურამ მოიპოვა, რომელმაც შინაურ არენაზე 2:1 დაამარცხა გორის დილა და ცხრილში გადაასწრო.

პირველი ტაიმის ბოლოს მიშიკო სარდალიშვილმა დუბლი შეასრულა, რითიც მშვენიერი ჰანდიკაპი შეუქმნა გუნდს შესვენებისთვის.

გორელებმა ერთი ბურთის გაქვითვა მეორე ტაიმში მოახერხეს, გაირა ჯუფის პასით ნოდარ ქავთარაძემ გაიტანა, მაგრამ ჩიხურამ მაინც მოახერხა სასურველი ანგარიშის შენარჩუნება. ისიც აღსანიშნავია, რომ ჩიხურამ ზედიზედ მე-3 გამარჯვება მოიპოვა.

სიონი-სამტრედია 4:2

თბილისის. მიხეილ მესხი 2

1:0 კირკიტაძე (8პ), 2:0 კოშკაძე (9), 2:1 კუჭუხიძე (54), 3:1 ისიანი (59), 3:2 ფანცულაია (65პ), 4:2 ისიანი (79)

მე-14 წუთზე მამასახლისმა ვერ გაიტანა პენალტი

სიონი: ზარქუა, მინდორაშვილი, თომაშვილი, გურეშიძე, კოშკაძე (სიხარულია 46), ხმალაძე, კირკიტაძე, მახარობლიძე (ნოზაძე 87), ლეჟავა (ისიანი 57), დათუნაიშვილი, გიორბელიძე

სამტრედია: კუპატაძე, მამასახლისი, ტულუში, გორელიშვილი (მაქაცარია 72), ლიპარტია, ჩაჩუა (კოშმანი 77), კერძევაძე, ფატიჩი, კუჭუხიძე, გოგიაშვილი, ენდელაძე (ფანცულაია 46)

ბოლნისის სიონმა მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე სამტრედიას უმასპინძლა და ანგარიშით 4:2 დაამარცხა.

ამ მატჩსაც ჰქონდა თავისი დატვირთვა – ორივე ცდილობს, ელიტიდან გავარდნა აიცილოს. აქ უკვე ბოლნისელთა სასარგებლოდ არის სიტუაცია.

ქვემოქართლელებმა საწყის 10 წუთში 2 ბურთის გატანა მოახერხეს: ჯერ დავით კირკიტაძემ პენალტი გაიტანა, შემდეგ ალექსანდრე კოშკაძემ შეაგდო.

მეორე ტაიმში ლაშა კუჭუხიძემ ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო 59-ე წუთზე ვილი ისიანმა, რომელიც ორიოდე წუთის შესული იყო მოედანზე ორბუთიანი სხვაობა აღადგინა.

65-ე წუთზე გიორგი ფანცულაიამ ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე ერთხელაც დაიყვანა, მაგრამ ისიანმა მასპინძლებს ორბურთიანი უპირატესობა დაუბრუნა და გამარჯვებაც მოუტანა.

სატურნირო ცხრილი:

1.საბურთალო	28	20	3	5	51-24	63
2.დინამო	27	18	4	5	53-24	58
3.ჩიხურა	29	15	5	9	44-27	50
4.დილა	29	13	10	6	49-36	49
5.ტორპედო	27	14	6	7	43-21	48
6.ლოკომოტივი	28	9	5	14	34-47	32
7.რუსთავი	28	6	11	11	25-34	29
8.სიონი	29	6	6	17	28-51	24
9.სამტრედია	29	3	9	17	24-53	18
10.კოლხეთი	28	4	7	17	23-57	13

შენიშვნა: კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

მოულოდნელი ფინალი — დელტას ტიტები შეუწყვილდა

დუდუ დადიანის მემორიალის მეორე ფინალისტი ცნობილია. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში სუპერლიგის დებიუტანტმა შსს აკადემია-ტიტებმა ქუთაისი დაამარცხა და ფინალში გასულ თბილისის დელტას შეუწყვილდა. თავის მხრივ, დელტა გასული სეზონის სუპერლიგის დებიუტანტია – ლექსო ლაფანაშვილის გუნდი შარშანწინ ა ლიგაში თამაშობდა. მართალია, აღნიშნულ ტურნირს გუნდების უმეტესობა შესათამაშებლად იყენებს, თუმცა დადიანის თასი მაინც ტიტულია და მისი მფლობელი ან დელტა გახდება, ან შსს აკადემია-ტიტები.

თსუ-ჰიუნდაი-ბათუმი 78:74

ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუმცა ორივე გუნდისთვის საკმაოდ ღირებული გახლდათ: ერთი, რომ ტურნირის ბოლო მატჩის შედეგიანად დასრულება სურდათ, მეორეც – სუპერლიგის სეზონის წინ შესათამაშებლად და ლეგიონერების შესაფასებლად მშვენიერი შესაძლებლობა გახლდათ.

შედეგს რაც შეეხება, ამ მხრივ კმაყოფილი თსუ-ჰიუნდაი დარჩა, რომელმაც შეხვედრა დაძაბულ ბრძოლაში, 4 ქულის სხვაობით მოიგო. სუპერლიგის დებიუტანტი მხოლოდ ქებას იმსახურებს: ნიკო ჩერქეზიშვილის გაწვრთნილმა გუნდმა გუნდმა ა ჯგუფში 4-დან 3 მატჩი მოიგო, ისევე როგორც ფინალში გასულმა დელტამ, თუმცა ჯგუფში პირველობა ურთიერთეხვედრაში მარცხის გამო არ ერგო.

თსუ-ჰიუნდაელებს ამერიკელმა ლეგიონერმა ჯეიმზ მილიკენმა ულიდერა, რომელმაც 27 ქულა მიითვალა და, დიდი ალბათობით, გუნდში დარჩენის საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

ოლიმპი-მგზავრები 85:84

ამ მატჩის შედეგმა ფინალისტის გამოვლენაზე დიდი გავლენა იქონია. ფინალში გასვლის პრეტედენტ მგზავრებს მხოლოდ გამარჯვება უნდოდა, რათა მომდევნო შეხვედრაში ტიტებს რომ ქუთაისისთვის მოეგო (როგორც მოხდა კიდეც), ფინალში გასვლის კარგი შანსი ჰქონდა. ცხადად რომ ვთქვათ, მგზავრების მოგების შემთხვევაში, ტიტებს ფინალში გასასვლელად ქუთაისის 16 ქულით დამარცხება სჭირდებოდა, ხოლო ტიტების 4-დან 15 ქულამდე სხვაობით მოგებას სატიტულო მატჩში მგზავრები გაჰყავდა.

ამიტომაც იყო, ბუბა ბერიშვილის გაწვრთნილმა მგზავრებმა მეტოქეს არაფერი რომ არ დაუთმო. შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთზე ნაკლები რჩებოდა, 10 ქულით რომ აგებდნენ, თუმცა ძირითადი დროის დარჩენილ წუთებში მგზავრებმა გათანაბრება მოახერხეს და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანეს. ექსტრახუთწუთეულმაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული და მეორე ოვერტაიმის ბოლოს მგზავრებმა გამარჯვება ფაქტობრივად გაინაღდეს – დასრულებამდე 1 წამით ადრე ადრიან ბოუმ ზუსტი ორქულიანით თავისი გუნდი 84:82 დააწინაურა.

აქ მოხდა მცირე სასწაული – ოლიმპის მწვრთნელმა, დიმიტრი ჯაკობოვმა წუთშესვენება აიღო, მოთამაშეებს დავალება მისცა და... გვერდითა ხაზიდან შემოტანილი ბურთი ოლიმპელთა კაპიტანმა რეზო როგავამ პერიმეტრიდან გვარიანად მოშორებით მიიღო და 1 წამში მისი სროლა მოასწრო. შორეული სამქულიანი მგზავრების კალათში ჩაეშვა, საფინალო სირენა მაშინ გაისმა, როცა ბურთი როგავას ხელებს მოსწყდა. ოლიმპის კაპიტანს, რომელსაც მანამდე 28 ქულა ჰქონდა მითვლილი, გადამწყვეტი სროლის შემდეგ 31 ქულა მოუგროვდა და ის მატჩის დამსახურებული გმირი გახდა. ოლიმპელთა გამარჯვებამ ტიტების წისქვილზე დაასხა წყალი და ამ გუნდს ფინალში გასვლის შესაძლებლობა ქუთაისის ნებისმიერი სხვაობით დამარცხების შემთხვევაში მისცა.

ტიტები-ქუთაისი 85:75

სუპერლიგის დებიუტანტმა ფინალში გასვლით მცირე სენსაცია მოახდინა. ამ ტურნირის სატიტულო მატჩში აქამდე ყოველთვის მოწინავე გუნდები გადიოდნენ და პირველად მოხდა,

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

20 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ჩელსი-მანჩესტერი 2:2
ბორნმუთი-საუთჰემპტონი 0:0
ვესტ ჰემი-ტოტენჰემი 0:1
ვულვზუ-უოტფორდი 0:2
კარდიფი-ფულემი 4:2
სიტი-ბარნლი 5:0
ნიუკასლი-ბრაიტონი 0:1
ჰადერსფილდი-ლივერპული 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.სიტი	9	7	2	0	26-3	23
2.ლივერპული	9	7	2	0	16-3	23
3.ჩელსი	9	6	3	0	20-7	21
4.ტოტენჰემი	9	7	0	2	16-7	21
5.არსენალი	8	6	0	2	19-10	18
6.ბორნმუთი	9	5	2	2	16-12	17
7.უოტფორდი	9	5	1	3	13-12	16
8.ვულვზი	9	4	3	2	9-8	15
9.მანჩესტერი	9	4	2	3	15-16	14
10.ლესტერი	8	4	0	4	14-12	12
11.ევერტონი	8	3	3	2	13-12	12
12.ბრაიტონი	9	3	2	4	10-13	11
13.ბარნლი	9	2	2	5	10-17	8
14.კრ.პალასი	8	2	1	5	5-9	7
15.ვესტ ჰემი	9	2	1	6	8-14	7
16.საუთჰემპტონი	9	1	3	5	6-14	6
17.კარდიფი	9	1	2	6	8-19	5
18.ფულემი	9	1	2	6	11-25	5
19.ჰადერსფილდი	9	0	3	6	4-18	3
20.ნიუკასლი	9	0	2	7	6-14	2

ინგლისი. ჩემპიონიერა

ბლექბერნი-ლიდსი 2:1
ასტონ ვილა-სუონსი 1:0
ბრენტფორდი-ბრისტოლი 0:1
იფსვიჩი-ქარ 0:2
ნოტინგემი-ნორვიჩი 1:2
რედინგი-მილუოლი 3:1
როტერჰემი-ბოლტონი 1:1
სტოკი-ბირმინგემი 0:1
უიგანი-ვესტ ბრომვიჩი 1:0
ჰალი-პრესტონი 1:1
დერბი-შეფილდი 2:1

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

რეალი-ლევანტე 1:2
ვალენსია-ლეგანესი 1:1
ვილიარეალი-ატლეტიკო 1:1
ბარსელონა-სევილია 4:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	9	5	3	1	23:11	18
2.ალავესი	9	5	2	2	12:8	17
3.სევილია	9	5	1	3	20:12	16
4.ატლეტიკო	9	4	4	1	10:5	16
5.რეალი	9	4	2	3	13:9	14
6.ესპანიოლი	8	4	2	2	11:7	14
7.ლევანტე	9	4	1	4	14:15	13
8.ვალიადოლიდი	8	3	3	2	7:6	12
9.ბეტისი	8	3	3	2	5:6	12
10.სოსიედადი	8	3	2	3	12:11	11
11.სელტა	9	2	4	3	13:13	10
12.ვალენსია	9	1	7	1	7:8	10
13.ეიბარი	8	3	1	4	9:12	10
14.ვილიარეალი	9	2	3	4	7:8	9
15.ხეტაფე	8	2	3	3	6:7	9
16.ხირონა	8	2	3	3	10:13	9
17.ლეგანესი	9	2	2	5	8:13	8
18.ბილბაო	7	1	4	2	9:13	7
19.რაიო	7	1	2	4	7:15	5
20.უესკა	8	1	2	5	7:18	5

ესპანეთი. მე-2 დივიზიონი

ოვიედო-ოსასუნა 2:1
ალკორკონი-გრანადა 1:0
ლას პალმასი-ნუმანისია 3:0
კორდობა-დეპორტივო 1:1

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-ლაიპციგი 0:0
ლევერკუზენი-ჰანოვერი 2:2
ვოლფსბურგი-ბაიერნი 1:3
ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი 1:3
შტუტგარტი-დორტმუნდი 0:4
შალკე-ვერდერი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.დორტმუნდი	8	6	2	0	27:8	20
2.ვერდერი	8	5	2	1	15:8	17
3.ბაიერნი	8	5	1	2	15:9	16
4.ლაიპციგი	8	4	3	1	16:9	15
5.გლადბახი	7	4	2	1	15:9	14
6.ჰერტა	7	4	2	1	12:7	14
7.აინტრახტი	8	4	1	3	19:12	13
8.ჰოფენჰაიმი	8	3	1	4	14:13	10
9.აუგსბურგი	8	2	3	3	14:13	9
10.მაინცი	7	2	3	2	4:4	9
11.ვოლფსბურგი	8	2	3	3	11:14	9
12.ფრაიბურგი	7	2	2	3	9:13	8
13.ლევერკუზენი	8	2	2	4	9:15	8
14.ნიურნბერგი	8	2	2	4	8:19	8
15.ჰანოვერი	8	1	3	4	10:16	6
16.შალკე	8	2	0	6	5:11	6
17.შტუტგარტი	8	1	2	5	6:17	5
18.ფორტუნა	8	1	2	5	6:18	5

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

არმინია-ფიურტი 2:3
ჰაიდენჰაიმი-მაგდებურგი 3:0
კილი-კიოლნი 1:1

იტალია. სერია ა

რომა-სპალი 0:2
იუვენტუსი-ჯენოა 1:1
უდინეზე-ნაპოლი 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	9	8	1	0	19:6	25
2.ნაპოლი	9	7	0	2	18:10	21
3.ინტერი	8	5	1	2	12:6	16
4.ლაციო	8	5	0	3	11:9	15
5.სამპდორია	8	4	2	2	12:4	14
6.რომა	9	4	2	3	16:12	14
7.ფიორენტინა	8	4	1	3	14:6	13
8.სასუოლო	8	4	1	3	15:14	13
9.პარმა	8	4	1	3	10:9	13
10.ჯენოა	8	4	1	3	13:15	13
11.მილანი	7	3	3	1	15:10	12
12.ტორინო	8	3	3	2	9:9	12
13.სპალი	9	4	0	5	8:10	12
14.კალიარი	8	2	3	3	6:9	9
15.უდინეზე	9	2	2	5	8:13	8
16.ბოლონია	8	2	1	5	4:10	7
17.ატალანტა	8	1	3	4	9:11	6
18.ემპოლი	8	1	2	5	5:10	5
19.ფროზინონე	8	0	1	7	3:21	1
20.კიევო	8	0	2	6	6:19	-1

შენიშვნა: კიევოს დაკლებული აქვს 3 ქულა

იტალია. სერია ბ

ასკოლი-კარპი 1:0
კოზენცა-ფოჯა 2:0
ჩიტადელა-ბრეშა 2:2
კროტონე-პადოვა 2:1

საფრანგეთი. 1 ლიგა

პსჟ-ამიენი 5:0
დიჟონი-ლილი 1:2
კაენი-გენგამი 0:0
ნანტი-ტულუზა 4:0
რეიმსი-ანჟე 1:1
სტრასბური-მონაკო 2:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	10	10	0	0	37-6	30
2.ლილი	10	7	1	2	19-8	22
3.ლიონი	10	5	2	3	16-12	17
4.მარსელი	9	5	1	3	21-16	16
5.მონპელიე	9	4	4	1	12-7	16
6.სტრასბური	10	4	3	3	18-14	15
7.სტ.ეტიენი	9	4	3	2	11-12	15
8.ბორდო	9	4	2	3	13-11	14
9.ტულუზა	10	3	4	3	10-16	13
10.ანჟე	10	3	3	4	12-13	12
11.რენი	9	3	2	4	12-14	11
12.კაენი	10	2	5	3	10-13	11
13.რეიმსი	10	2	5	3	5-10	11
14.ნიცა	9	3	2	4	7-13	11
15.ნიმი	10	2	4	4	13-18	10
16.დიჟონი	10	3	1	6	10-15	10
17.ამიენი	10	3	1	6	11-18	10
18.ნანტი	10	2	3	5	12-16	9
19.მონაკო	10	1	3	6	10-15	6
20.გენგამი	10	1	3	6	6-18	6

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ბრესტი-ლორიანი 3:2

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

პსვ-ემენი 6:0
ექსელსიორი-ვიტესი 2:0
უტრეხტი-ალკმაარი 2:1
ჰერენვენი-აიაქსი 0:4

ჩუხეთი. პრემიერლიგა

ორენბურგი-ენისეი 0:0
ურალი-კრილია 1:1
უფა-რუბინი 0:0

შვეიცარია. სუპერლიგა

ლუცერნი-თუნი 0:2
ციურიხი-იანგ ბოიზი 3:3

შოტლანდია. პრემიერლიგა

ლივინგსტონი-დანდი 4:0
მოზერველი-სტ.ჯონსონი 0:1
სელტიკი-ჰიბერნიანი 4:2
სტ.მირენი-კილმანროკი 1:2
ჰარტსი-აბერდინი 2:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-ალტახი 1:1
ზალცბურგი-ინსბრუკი 1:1
ჰარტბერგი-რაპიდი 3:0

ბელგია. 1 დივიზიონი

მუსკრონი-სტანდარდი 0:0
ანტვერპენი-ლოკერენი 2:1
კორტრაიკი-სტ.ტრუიდენი 3:1
გენკი-ეუპენი 2:1

საბერძნეთი. სუპერლიგა

პანათინაიკოსი-პანიონიოსი 1:0
იანინა-პანეთოლიკოსი 0:2
აპოლონი-აეკი 0:2
ლარისა-ლამია 1:2

თურქეთი. სუპერლიგა

ქაშიმფაშა-აქჰისარი 5:0
ბაშაქშეჰირი-ქაისერი 1:0
სივასი-ფენერბახჩე 0:0

ჩეხეთი. 1 ლიგა

სიგმა-ზლინი 1:1
ბანიკი-კარვინა 1:1
პრჟიბრჟამი-იაბლონეცი 0:6
სლოვაკეკო-ტეპლიცე 0:2

პოლონეთი. ექსტრაკლასი

სოსნოვეცი-ლეგნიცა 3:1
სლასკი-არკა 1:2
ლეხი-კორონა 2:1

უკრაინა. პრემიერლიგა

მარიუპოლი-ზორია 3:2
ვორსკლა-დინამო 0:1

დანია. სუპერლიგა

ნორდსიალენდი-მიდტიულანდი 1:4

შვედეთი. ალსვენსკა

მალმიო-ჰამარბი 2:1
დალკურდი-იორებრო 1:0

ნორვეგია. ეროტსერია

მიოლდე-სარპსბორგი 2:2
სანდერფიორდი-სტრომგოდსეტი . 2:1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ლოპეტეგის განაჩენი გამოუტანეს

ესპანური გამოცემები იუწყებიან, რომ ჟულიენ ლოპეტეგის სამეფო კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტზე საათები დარჩა... ლევანტესთან მარცხი გულშემატკივრებისთვის ბოლო წვეთი აღმოჩნდა და მწვრთნელის წასვლას ითხოვენ.

ფლორენტინო პერესმა ლევანტესთან წარუმატებელი მატჩის შემდეგ გუნდის მთავარი მწვრთნელი ჟულიენ ლოპეტეგი დაიბარა. შეხვედრა მატჩის დასრულებიდან 3 საათში შედგა.

ესპანური გამოცემა მარკა იუწყება, რომ შეხვედრის დეტალები არ ხმაურდება, თუმცა, როგორც ჩანს, ლოპეტეგის გაშვებას არ უპირებენ და მთავარი მწვრთნელი პოსტზე მინიმუმ 28 ოქტომბრამდე დარჩება, როდესაც რეალი ბარსელონას ესტუმრება.

– რეალი დანგრეულია, ლოპეტეგის განაჩენი გამოტანილია! გასარკვევია მხოლოდ ის დღე, როცა მას გაათავისუფლებენ. თუ დღეს არ მოხდა, ეს ხვალ ან ზეგ მაინც მოხდება, ანაც – მომდევნო კვირაში, კლასიკოს შემდეგ, – წერს მარკა.

ლოპეტეგი ფეხბურთელებმა დაიცვეს. კერძოდ, განცხადებები გააკეთეს გუნდის კაპიტანმა სერხიო რამოსმა და ბრაზილიელმა მარსელომ. ისინი მწვრთნელის ამ ეტაპზე გაშვებას არ ეთანხმებიან და გვერდით უდგანან.

დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

მესი 3 კვირა იუქმებს და კლასიკოს გამოტოვებს

ბოლო 11 წლის განმავლობაში პირველად მოხდება, რომ სუპერმატჩი, რომელსაც მსოფლიო ელ კლასიკოს სახელით იცნობს, ლეო მესისა და კრისტიანუ რონალდუს გარეშე ჩატარდება.

რონალდუს საკითხი გადაწყვეტილი იყო – პორტუგალიელმა მადრიდი დატოვა და მისთვის კლასიკო ისედაც დახურული იყო, მაგრამ მესი?

ლა ლიგის მე-9 ტურის ცენტრალურ მატჩში, რომელშიც ბარსელონამ სევილიას 4:2 მოუგო, ლიონელ მესი უხერხულად დაეცა, ხელი იტკინა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. პირველადი დათვალიერების შემდეგ ითქვა, რომ ლეო დაახლოებით 7-10 დღეს გამოტოვებდა, თუმცა მოგვიანებით ბარსელონამ განმარტება გააკეთა – სამწუხაროდ, არგენტინელს უფრო მეტ ხანს მოუწევს უქმობა.

– ტესტირებამ გამოავლინა მესის ხელზე რადიალური ძვლის მოტეხილობა. ის დაახლოებით 3 კვირას ვერ ითამაშებს, – წერია ბარსელონის განცხადებაში.

გამოდის, რომ მესიმ, შესაძლოა, 6 მომდევნო მატჩი გამოტოვოს – 24 ოქტომბერს ინტერთან, 28 ოქტომბერს რეალთან, 31 ოქტომბერს კულტურალ ლეონესასთან, 3 ნოემბერს რაიო ვალეკანოსთან, 6 ნოემბერს ინტერთან და 11 ნოემბერს ბეტისთან. ამის შემდეგ იქნება სანაკრებო პაუზა. მესის დაბრუნებას კი 24 ნოემბრისთვის ელიან, როცა ბარსელონა ატლეტიკოს დაუპირისპირდება.

მოულოდნელი ფინალი — დელტას ტიტები შეუწყვილდა

დასაწყისი მე-9 გვერდზე

რომ თასისთვის გასულ სეზონში ა ლიგაში მოთამაშე გუნდი იბრძოლებს.

დავით უსტიაშვილის გაწვრთნილმა გუნდმა კარგად შეირგო ის შანსი, რომელიც მას მგზავრების ოლიმპთან დამარცხებით მიეცა. მართალია, წინააღმდეგ შემთხვევაშიც რჩებოდა ტიტებს საფინალო შანსი, თუმცა ურთულესად მისაღწევი: მგზავრებს რომ მოეგო, ტიტებს ქუთაისელთა 16 ქულით დამარცხება სჭირდებოდა, თუმცა ოლიმპელებმა ბოლო წამზე თითქმის შეუძლებელი შეძლეს და...

ტიტები ბოლო წლების ერთ-ერთ მოწინავე გუნდთან მატჩს კარგად მომზადებული შეხვდა. პირველი პერიოდის 17:19 წაგების შემდეგ, დავით უსტიაშვილის გუნდმა თამაშში გარდატეხა შეიტანა და მწყობრი დაცვისა და სწრაფი კონტრშეტევების ხარჯზე ჯერ ლიდერობა მოიპოვა, შემდეგ კი უპირატესობა გაიმყარა. დიდი შესვენებიდან ტიტები 7-ქულიანი ლიდერობით დაბრუნდა და უპირატესობა მალევე 15 ქულამდე გაზარდა.

დარჩენილ დროში ტიტებმა წარმატებით შეინარჩუნეს ლიდერობა და არსებობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გამარჯვებას მიაღწიეს. გუნდს 19 ქულით ილია ლონდარიძემ ულიდერა, ხოლო ჟოელ ალმეიდას ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა.

დინამო-რუსთავი 104:77

მემორიალის ჯგუფური ეტაპი სატურნირო თვალსაზრისით უმოტივაციო მატჩით დასრულდა. დუდუ დადიანის თასის მოქმედმა მფლობელმა დინამომ ფინალში გასვლის შანსი მეორე ტურის შემდეგ დაკარგა. რუსთაველებმა კი გასული 3 მატჩიდან მხოლოდ 1 შეხვედრა მოიგეს და მემორიალის დარჩენილ შეხვედრაში სათამაშო დრო გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებსაც მისცეს.

დინამოელებმა თავიდანვე მოიპოვეს ხელჩასაჭიდი უპირატესობა, რომელსაც თამაშის ბოლომდე წარმატებით ინარჩუნებდნენ და საბოლოოდ 27 ქულის სხვაობით იმარჯვეს. თბილისელებს ამერიკელმა ლეგიონერმა ჯორდან სვოპშირმა 18 ქულით ულიდერა, მთლიანობაში კი 7-მა დინამოელმა უწია 10-ქულიან ზღვარს. რუსთავში 21 ქულითა და 11 მოხსნით საუკეთესო იყო რუდოლფ ჯოლი, ისააკ ბენქსმა კი თავი 14 ქულას მოუყარა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ქალიშვილი თეთრ სახლში აჩრდილებზე ალაპარაკდა

აშშ-ის 43-ე პრეზიდენტ ჯორჯ ბუში-უმცროსის ქალიშვილმა ჯენა ბუშ-ჰაგერმა, რომელიც ერთ-ერთი ტელეარხის დილის შოუს სტუმარი იყო, ისაუბრა მოჩვენებებზე, რომლებიც თეთრ სახლში არიან.

მისი თქმით, ერთხელ ღამით თეთრი სახლის ერთ-ერთი ოთახის ბუხრიდან 1920-იანი წლების მუსიკა გაისმა.

– მე ჩემს და ბარბარასთან საწოლში შევძვერი და არც ერთს არ გვძინებია, – ამბობს ჯენა ბუშ-ჰაგერი. მისი თქმით, ერთი კვირის შემდეგ ისტორია განმეორდა, ოღონდ ამჯერად ოპერის სიმღერა ისმოდა.

ბუშ-ჰაგერი ამტკიცებს, რომ ამის შესახებ ერთ ნაცნობს უამბო, რომელიც თეთრ სახლში მუშაობს, თუმცა მას ეს სრულიად არ გაჰკვირვებია და უპასუხა:

– ოჰ, ჯენა, რომ მოგიყვე, რაც თავად მომისმენია, არ დამიჯერებ.

პრეზიდენტის ქალიშვილმა დაამატა, რომ მოჩვენებას თეთრ სახლში კეთილ არსებად მიიჩნევს.

ლეოპარდების ჩხუბი ვიდეოზე გადაიღეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტები ორი ლეოპარდის ჩხუბის თვითმხილველები გახდნენ, რომელიც ერთ-ერთის სიკვდილით დამთავრდა. თვითმხილველების მიერ გადაღებული კადრები იუთუბში პარკის არხზე გამოქვეყნდა.

ვიდეოს ავტორის, 45 წლის დურგალ რაინ ჯენკინსის თქმით, ცხოველების ორთაბრძოლის შედეგად ჰაერში ავარდნილი მტვერი შორიდანაც კი კარგად ჩანდა.

– როდესაც მტვერი დაჯდა, შევნიშნეთ, რომ ერთი ლეოპარდზე საკმაოდ ახალგაზრდა და პატარა იყო. რაღაც დროის განმავლობაში ჩვენ ვფიქრობდით, რომ ისინი, მართალია, ცოტა უხეშად, მაგრამ მაინც თამაშობდნენ, – განაცხადა ვიდეოს ავტორმა.

ტურისტები მალევე მიხვდნენ, რომ ცდებოდნენ. სავარაუდოდ, მტაცებლებმა ტერიტორია ვერ გაიყვეს და სამკვდროსასიცოცხლოდ იბრძოდნენ. ახალგაზრდა ლეოპარდი მარცხდებოდა, თუმცა არ ნებდებოდა. მეორე მას ახრჩობდა, სანამ ის არ გაიგუდა, შემდეგ კი ისეთი ძალით ჩასცხო, რომ ტურისტებმა თავის ქალის მტვრევის ხმა გაიგონეს. მტაცებლების ორთაბრძოლა 20-25 წუთი გრძელდებოდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქვრივი მამაკაცებისთვის გარდაცვლილი მეუღლის სახიან სექსთოჯინებს დაამზადებენ

სექსთოჯინების გაქირავების ერთ-ერთი პირველი ბრიტანული სერვისის მფლობელი აპირებს, დაქვრივებული მამაკაცებისთვის გამოუშვას თოჯინები, რომლებიც მათ გარდაცვლილ მეუღლეს მოაგონებენ.

ჯეიდ სტენლი, რომელიც ოთხ შვილს ზრდის, სოლარიუმების საკუთარი ქსელის წყალობით გამოიმუშავებს ფულს. წლინახევრის წინ კი ის სექსთოჯინების ინდუსტრიით დაინტერესდა. 34 წლის მეწარმემ სექსთოჯინების გაქირავება გახსნა, რომელიც დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთი პირველი ასეთი დაწესებულება იყო.

ქალის თქმით, კლიენტები თოჯინებს სხვადასხვა მიზნით უკვეთდნენ.

– ჩვენ გვყავს წყვილი, რომელთაც არ სურთ, რომ თავიანთი პარტნიორი სხვასთან ნახონ, არიან ისეთები, რომელთაც ფსიქიკური დაავადება აქვთ ან გონებრივი განვითარების ჩამორჩენა და ვინმეს გაცნობას ვერ ახერხებენ, – ამბობს სტენლი.

ის მიიჩნევს, რომ მისი გაქირავება სხვებისგან იმით განსხვავდება, რომ ის თოჯინებს აქირავებს არა მხოლოდ სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ ფსიქოლოგიური კომფორტის შესაქმნელად.

სექსთოჯინები შემკვეთთან მიაქვთ და კართან ტოვებენ, შემდეგ უკანვე მიაქვთ, საგულდაგულოდ რეცხავენ და ინტიმურ ადგილს ახლით უცვლიან.

სტენლის თქმით, გარდაცვლილი მეუღლის სახიანი თოჯინის შექმნის იდეა მას დაქვრივებულ კლიენტებთან გასაუბრების შემდეგ დაებადა. მან გადაწყვიტა, ეს მომსახურება კონვეიერული გახადოს და თოჯინები ფოტოსურათების მიხედვით დაამზადოს. მისი თქმით, ასეთმა მომსახურებამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მას უკვე მიღებული აქვს შეკვეთები.

სჯანგოხიდი



1. ნაბიჯი ბალეტში; 2. მაგარმერქნიანი ხე; 3. „... გეშინია, დედა!“; 4. სოფელი კასპის რაიონში; 5. ჩვენებითი ნაწილაკი; 6. სუსტი არაყი; 7. ... კაპონე; 8. ქოჩრიანი თუთიყუში; 9. აფრიკული შხამიანი ბუზი; 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 11. ... მატიე; 12. ცეცხლის ანადენი; 13. პირუტყვის საჭმელი; 14. ამაღლებული ადგილი დედამიწაზე; 15. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 16. მღვდლის სამოსის ნაწილი; 17. ებრაელთა ხმიადი; 18. ძველბერძენი ფილოსოფოსი; 19. ძვირფასი ქვა; 20. ბგერიდან ბგერაზე მდორე გადასვლა; 21. ადამიანის ენერგოველი; 22. მამალი ცხენი ან კვიცი; 23. ერთგვარი ეტრატხელნაწერი; 24. ნიღბებიანი საზეიმო სანახაობა; 25. პირის ღრუს ორგანო; 26. ფრანგული მხიარული ცეკვა; 27. რისამე განვითარების პროცესი; 28. ქალის სამოსელი; 29. მოდავე მხარეთა მიმართ თანაბარი დამოკიდებულება; 30. კ.კავსაძის კინოროლი; 31. ზურიკელას ძაღლი; 32. პოლიტიკური გაერთიანება.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პრუსია; 2. სუძუკი; 3. მღილი; 5. რუხი; 6. „სოკარი“; 8. ორტეგა; 11. სალუქვაძე; 13. კარდენი; 14. ანტრაშა; 15. გახარია; 19. ლალი.

თარაზულად: 1. პალიასტომი; 4. ციპრასი; 7. ურუშაძე; 9. ლეგრანი; 10. ოსაკა; 12. ანეკდოტი; 16. საქსონია; 17. ფრაქცია; 18. ღრიანკალი; 20. ძილქუში; 21. ეირე; 22. კასტილია.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ნადური; 2. დასტა; 3. არიანი; 4. აიმაკი; 6. გულიაში; 9. ბლუზი; 11. კონფუცი; 12. ლითოსფერო; 16. ზაჰესი; 17. კულინანი; 19. აბატისა; 21. ადიდასი; 22. პიროგა.

თარაზულად: 5. დაბახანა; 7. უნიკუმი; 8. ამლახუ; 10. სლოგანი; 12. კლოპი; 13. სუომი; 14. ყიზილბაში; 18. კაფია; 20. კაბუკი; 23. მინსკი; 24. იორი; 25. ბესონი; 26. გორი; 27. ფსირცხა.

ასტროპროგნოზი 22 ოქტომბრისათვის

ვერძი – კონფლიქტური დღეა. მოშურნეებსა და არაკეთილგანწყობილ ადამიანებს ერიდეთ. ნუ იქნებით თავქარიანი. **კურო** – მშვიდად იმუშავეთ. მყისიერ შედეგს ნუ ელით. მთავარია, თქვენი საქმე დიდი პასუხისმგებლობითა და პროფესიონალურად აკეთოთ. **ტყუპები** – ადამიანები გენდობიან. ეცადეთ, მათ იმედი არ გაუცრუოთ. უცნობებს თქვენს საქმეებში ნუ გარევთ. **კირჩხიბი** – პირად ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებებისათვის მზად იყავით. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ლომი** – ილუზიებს არ აჰყვეთ. ეცადეთ, არავინ მოგატყუოთ. არაკეთილისმყოფელი დღეა ქალაქგარეთ გასასვლელად, მივლინებებისათვის. **ქალწული** – მსხვილი შენაძენისათვის საყიდლებზე ნუ წახვალთ. ფული წყალში იქნება გადაყრილი. ჯანმრთელობის მდგომარეობა გიუარესდებათ. **სასწორი** – მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ნუ მიიღებთ. დღეს დაისვენეთ ან საოჯახო საქმეებს მიხედეთ. **ღრიანკალი** – ფინანსური მდგომარეობა ნელა, მაგრამ საგრძნობლად გიუმჯობესდებათ. საქმიან პარტნიორებთან მოსალაპარაკებლად საუკეთესო დღეა. **მშვილდოსანი** – ბედი შანსს გაძლევთ, მატერიალური მდგომარეობა გაიუმჯობესოთ. საღამოს ერიდეთ სხვის საქმეებში ჩარევას. **თხის რქა** – დაბნეულობის გამო საქმიანი რიტმიდან ამოვარდნილი ხართ. შეუფერებელი დღეა საყიდლებზე წასასვლელად, მოლაპარაკებებისათვის. **მერწყული** – კეთილისმყოფელი დღეა. ნეგატიური აზრები უკუაგდეთ და მხოლოდ პოზიტიურზე იფიქრეთ. **თევზები** – ახლობელ ადამიანთან პრეტენზიების გამოხატვას ერიდეთ, თორემ სკანდალს ვერ ასცდებით. უმჯობესია, ეს დღე მარტომ გაატაროთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ტორესა მოსი ხუთსაათიანი დაკავების შემდეგ გაათავისუფლეს

მწერალი, სცენარისტი და მუსიკოსი ტორესა მოსი ხუთსაათიანი დაკავების შემდეგ გაათავისუფლეს.

ხელოვანი დედაენის ბაღში კანაფის ლეგალიზაციის ფესტივალზე იმყოფებოდა, სადაც ის დააკავეს.

ინფორმაცია ტორესა მოსიმ თავად გაავრცელა:

– ხუთი საათი გავატარე პოლიციაში. გემრიელი ბადაგი დამალევინეს და ბევრი ვილაპარაკეთ ამ ქვეყნის ბედზე.

ლიზა ბათიაშვილს გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრიზი მიანიჭეს

ქართველ მევიოლინე ლიზა ბათიაშვილს გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრიზი მიანიჭეს.

ინფორმაცია რეჟისორმა დავით საყვარელიძემ გაავრცელა:

– ლიზა ბათიაშვილის, იანიკ ნეზეტ-სეგინის დისკმა გერმანიაში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული პრიზი აიღო.

წინანდლის ფესტივალი ამ ჩანაწერის სპონსორია და ამიტომ ორმაგად მიხარია!

ვულოცავ ლიზას!

მიხეილ ზაქარიაშვილი რესტორან „ყარაჩოხელის“ გადასარჩენად უფასოდ იმღერებს

მომღერალი მიხეილ ზაქარიაშვილი განახლებული აღმაშენებლის გამზირზე მდებარე რესტორან „ყარაჩოხელის“ გადასარჩენად უფასოდ იმღერებს.

ეს გადაწყვეტილება მომღერალმა მას შემდეგ მიიღო, რაც რესტორანი დაიხურა.

მიხეილ ზაქარიაშვილი:

– აღმაშენებელზე „პალატკები“ კარვები ირანელების ყოფილა თურმე! მანდვე მეორე სართულზე რესტორანი „ყარაჩოხელია“ განთავსებული. როდესაც იქ ქართველები მღერიან და ქეიფობენ, თურმე ირანელებს აწუხებს ქართული მუსიკის ხმა და წარამარა პატრულს იძახებენ! მე შევარცხვინე ყველა პატრულის თანამშრომელი, რომელიც მათ მხარეს დაიჭერს და ქართველებს ქართულად სიმღერას აუკრძალავს!

ხოდა გადავწყვიტე, ვისაც ამ სიტუაციაზე გული შესტკივა, დავთქვათ ერთი დღე, წავიდეთ ამ რესტორანში, შევიკრიბოთ და ერთი მაგრად ვიქეიფოთ ქართველებმა. მე უფასოდ ვიმღერებ თქვენთვის და გვერდში დავუდგეთ ქართველებს. უნდა ვაიძულოთ მერია, ეს კარვები აიღონ და პლეხანოვზე ირანი გავაუქმოთ. აუტანელია უკვე მაგათი ბოგინი ჩვენს ქუჩებში...

ვინც არ დამიდგებით გვერდში, მერე არ დამიწყოთ ბლატაობა, თბილისელები ვართ, პლეხანოველები, ვერელები, ვორონცოველები და ასე შემდეგ. ტელევიზიებს მოვუწოდებ, ჩაერთონ ამ საქმეში და გააშუქონ, რა ხდება ამ უბანში. ყველაფერი – ქართველობა, ღირსება, ქალაქი ფულზე უნდა გაიყიდოს?

სუხიშვილები ქველმოქმედებისთვის იცეკვებენ

ანსამბლი სუხიშვილები საქველმოქმედო კონცერტს გამართავს.

16 ნოემბერს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში „სუხიშვილები“ შეკრებილ მაყურებლებს სიკეთისთვის გააერთიანებენ.

კონცერტიდან შემოსული თანხა სრულად მოხმარდება წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძართან არსებულ „თხილის გულის“ უფასო სასადილოს.

სუხიშვილები კონცერტზე შეასრულებენ როგორც ახალ, ასევე ძველ საკონცერტო პროგრამას.

ლაშა ბაქრაძე: „ყველა რუს ტურისტს საზღვარზე უნდა მივცეთ საინფორმაციო ფურცელი, თუ რას აკეთებს რუსეთი რეალურად საქართველოში“

ლიტერატურული მუზეუმის ხელმძღვანელი ლაშა ბაქრაძე კვლავ ჯიუტად იმეორებს თავის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში შემოსულმა რუსმა ტურისტებმა დეტალურად უნდა იცოდნენ, რას აკეთებს მათი სახელმწიფო ჩვენს ქვეყანაში:

– მრავალგზის ნათქვამს გავიმეორებ: ყველა რუს ტურისტს საზღვარზე უნდა მივცეთ საინფორმაციო ფურცელი, თუ რას აკეთებს რუსეთი რეალურად საქართველოში, როგორ არის საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული და ა.შ.

ეს არის მინიმუმი, რაც შეიძლება ქვეყანამ გააკეთოს საინფორმაციო ომში თავხედი და მოძალადე ჩრდილოელი მეზობლის პროპაგანდის წინააღმდეგ, შანსი, რომ ერთი-ორმა რუსმა მაინც შეძლოს, საკუთარი ქვეყნის აგრესიული პოლიტიკის ოდნავ რეალისტური სურათი დაინახოს.

ჟურნალისტმა გიგა მაჭარაშვილმა ნინო ქათამაძეზე კეთილი ისტორია გაავრცელა

ჟურნალისტმა გიგა მაქარაშვილმა მომღერალ ნინო ქათამაძეზე კეთილი ისტორია გაავრცელა. ჟურნალისტი ფეხით ჩავიდა აფხაზეთის ე.წ. საზღვართან და სოხუმის დაცემის დღეს ენგურის ხიდთან შეხვდა:

– ერთი კეთილი ისტორია უნდა მოგიყვეთ, ჩემთვის ვინახავდი, მაგრამ ჯობს, ბევრმა გაიგოს:

ზესტაფონთან უნდა გამეთენებინა ღამე მსვლელობის მეშვიდე დღეს. ძილის წინ გემრიელად ვჭამე, დამწვარ სხეულზე მალამო წავისვი წამებით და რეკავს ნინო ქათამაძე, ძალიან ხმაურია, ძლივს ვარჩევ სიტყვებს.

წამით ხმაური გაქრა და მეუბნება, ტელეფონი ყურთან ახლოს დაიდე და გემრიელად დაიძინე, დღეს შენთვის ვიმღერებო.

მერე მთელი კონცერტი ხელში ტელეფონით იმღერა, პერიოდულად ამოწმებდა, ჩამეძინა თუ არა. საათ-ნახევრის შემდეგ მიმეძინა, თან დაღლილს, თან დამწვარს და თან ძალიან ბედნიერს.

ჰო და ეგაა ზუსტად ბედნიერებაც, თავი ფილმში რომ გგონია და თან შენ რომ ხარ იმ ფილმის რეჟისორი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასი წლის ბებია გათხოვდა

დიდი ბრიტანეთის მცხოვრებმა ასი წლის ნორა უიტკისმა იქორწინა შეყვარებულთან, რომელიც მასზე 26 წლით პატარაა.

პატარძლის თქმით, მან მაკოლმ იეტსი 1980-იანი წლების ბოლოს გაიცნო თანამედროვე სამეჯლისო ცეკვების გაკვეთილზე. მას შემდეგ დაიწყო მათი ურთიერთობა და აღარც დაშორებიან ერთმანეთს. სიძემ, რომელიც ადრე ავტობუსის მძღოლად მუშაობდა, აღიარა, რომ როდესაც ცეკვის გაკვეთილებზე დაიწყო სიარული, საერთოდ არ იცოდა ცეკვა.

– მან მასწავლა ცეკვა და დამაჯერებლობა შემმატა. ჩვენ ერთად ბევრს ვმოგზაურობდით, ხოლო ჩვენი საყვარელი ცეკვა იყო ჩა-ჩა-ჩა, – აღიარა მალკოლმმა.

საქორწინო ცერემონია უელსის დენბიშირის საგრაფოს ქალაქ პრესტენინის სასტუმროში გაიმართა, რომელიც მათი სახლის შორიახლოს მდებარეობს. ქორწილს 30 სტუმარი ესწრებოდა – წყვილის მეგობრები და მათი ნათესავები. 74 წლის იეტსმა პატარძალი ინვალიდის ეტლით მიიყვანა საკურთხეველთან ცნობილი ჯგუფის „აბბას“ სიმღერის Dancing Queen-ის თანხლებით.

– პატარძლობა ბრწყინვალე შეგრძნებაა. ეს ყოველივე ამდენი წლის ლოდინად ღირდა. შემეძლო, კიდევ უფრო მეტ ხანსაც დავლოდებოდი. არ არსებობს ისეთი რამ, რის გაკეთებასაც მალკოლმი ვერ შეძლებდა. ის მართლაც განსაკუთრებულია, – განაცხადა უიტკისმა.

კალეიდოსკოპი

ლატარიის მოყვარული ბილეთებს ჩუმად ყიდულობდა და ორჯერ გაიმარჯვა

ამერიკის მერილენდის შტატის ქალაქ ჩევი ჩეიზის მცხოვრებმა ორჯერ მოიგო ლატარიაში 50-50 ათასი დოლარი.

ქალმა ორჯერ იყიდა ხუთდოლარიანი ლატარიის ბილეთი, რომელზეც დამცავი ფენის გადაფხეკაა საჭირო. პირველად მან ფულადი პრიზი სამი თვის წინ მოიგო.

– ეს იყო იგივე მაღაზია, იგივე ავტომატი! ბილეთი დავასკანერე და საკუთარ თვალებს არ დავუჯერე, ისევ? – განაცხადა იღბლიანმა ქალმა.

58 წლის ამერიკელმა აღიარა, რომ ლატარიას დიდი ხანია თამაშობს, მაგრამ არ მოელოდა, რომ ოდესმე მთავარი პრიზის მფლობელი გახდებოდა და თანაც – ორჯერ.

თავისი მეორე ბედნიერი ბილეთი მან თავისი ქალიშვილისგან მალულად იყიდა, რომელსაც დედის ასეთი გატაცება არ მოსწონდა.

– მას შემდეგ, როდესაც პირველად მოვიგე 50 ათასი დოლარი, ქალიშვილმა მთხოვა, რომ აღარ მეთამაშა, – განმარტა ქალმა.

იღბლიანი ქალბატონის ქალიშვილი დედაზე არანაკლებ გაოგნებული იყო და ლატარიის კომპანიის ოფისშიც გაჰყვა.

– მას პირველი მოგების შემდეგ კრუიზში წასვლა სურდა, თუმცა საბოლოოდ თანხის ნაწილი ბანკში საკუთარ ანგარიშზე შეიტანა, ხოლო დანარჩენი ოჯახს მოახმარა. მაგრამ ამჯერად მან პირობა დადო, რომ სამოგზაუროდ გაემგზავრება ისეთ მხარეში, სადაც მზე და სითბოა, – განაცხადა ქალიშვილმა.

„მის დედამიწა ლიბანს“ ტიტული მეტოქესთან გადახვევისთვის ჩამოართვეს

კონკურსის „მის დედამიწა ლიბანის“ ორგანიზატორებმა გამარჯვებულს ტიტული ებრაელ გოგონასთან სურათის გადაღების გამო ჩამოართვეს.

კონკურსზე „მის დედამიწა“, რომელიც ფილიპინებში იმართება, ლიბანს 26 წლის ბეირუთელი მოდელი სალვა აკარი წარმოადგენდა. მისი თანამემამულეები აღაშფოთა ფოტოსურათმა, რომელზეც ის „მის დედამიწა ისრაელ“ დანა ცრეიკთან ხელგადახვეულია აღბეჭდილი, ხოლო თავისუფალი ხელის თითებით ლათინური ასო V აქვს გამოსახული (ეს ჟესტი გამარჯვებას ან მშვიდობას გამოხატავს).

„მის დედამიწა ლიბანის“ ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ისრაელთან ურთიერთობას კატეგორიულად უარყოფენ. ვინაიდან ცრეიკს ეკეთა ბაფთა, რომელზეც ეწერა, თუ რომელ ქვეყანას წარმოადგენდა, მათ არ სჯერათ აკარის, რომელიც ამტკიცებდა, რომ არ იცოდა, ვისთან ერთად იღებდა ფოტოსურათს.

აკარის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ტიტულის მფლობელი აღარ არის, ის კონკურსში მონაწილეობას მაინც გააგრძელებს.

– მე დავასრულებ დაწყებულს თქვენი მხარდაჭერითა და სიყვარულით თუ მის გარეშე, – დაწერა გოგონამ, – ღმერთი ყოველთვის ჩემთანაა. მან ყველაზე მეტი იცის... და მან იცის, თუ როგორი გული მაქვს.

ცნობილი უზარმაზარი ალიგატორი ისევ გამოჩნდა

უზარმაზარი ალიგატორი, რომლის სიგრძე, სულ მცირე, 4,5 მეტრი იქნება, ისევ შენიშნეს ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ პალმეტოს გოლფის მოედანზე. ერთ-ერთმა მოთამაშემ ის ვიდეოზე გადაიღო.

– ეს ნამდვილი მხეცია, – აცხადებს ვიდეორგოლის ავტორი. მისი თქმით, ალიგატორი იმ ადგილიდან 15 მეტრში აუჩქარებლად მიაბიჯებდა, სადაც თამაში მიმდინარეობდა. ის ვარაუდობს, რომ უზარმაზარი რეპტილია ერთი წყალსატევიდან მეორისკენ მიემართებოდა, გზად კი დასასვენებლად შეჩერდა.

მტაცებელი ამ ადგილებში პირველად 25 წლის წინ შენიშნეს. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ მისი ასაკი შესაძლოა 60 წელს აღწევდეს. ადგილობრივებმა ალიგატორი ჩაბსად მონათლეს ფილმ „იღბლიანი გილმორის“ პერსონაჟის პატივსაცემად.

2016 წელს რეპტილიამ მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი, როდესაც მისი გოლფის მოედანზე გასეირნების ამსახველმა ვიდეოჩანაწერმა იუთუბში 20 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

მომთვინიერებელი ნიანგების გუბურაში ჩავარდა

ჩინეთში სახალხო წარმოდგენის დროს ნიანგების მომთვინიერებელი რეპტილიების გუბურაში ჩავარდა და ცოცხალი გადარჩა.

ერთ-ერთი თვითმხილველის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, რომ წარმოდგენის ერთ-ერთი მონაწილე ცდილობს, ნიანგს დაფჩენილ პირში ყვითელი საჰაერო ბურთი ჩასჩაროს. ორი დანარჩენი მის უკან გუბურის მახლობლად დგას.

მოულოდნელად ერთ-ერთს ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა. მაყურებლებმა საშინელების მოლოდინში იყვირეს. წარმოდგენის მონაწილეები გვერდზე გახტნენ, ხოლო თავად წყალში ჩავარდნილი მომთვინიერებელი საოცარი სისწრაფით ამოხტა წყლიდან სცენაზე. მთელი ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ნიანგი არ განძრეულა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 ოქტომბრისთვის

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6972	ევრო — 3.0921
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5155	100 რუსული რუბლი — 4.1098

ამინდის პროგნოზი 22 ოქტომბრისთვის

ასი წლის ქალი დღეგრძელობას საიდუმლო ინგრედიენტს უმადლის

ბრიტანელმა დღეგრძელმა ქალბატონმა ბეტი ნიუშემმა საკუთარი დღეგრძელობა იმით ახსნა, რომ ყოველდღე ჩაიში ცოტა ბრენდს უმატებდა.

ნიუშემმა 101 წლის დაბადების დღე 14 ოქტომბერს იზეიმა. ის საუთ-იორკშირის საგრაფოს ქალაქ შეფილდში დაიბადა და იქვე გაატარა მთელი ცხოვრება. როგორც წესი, ის კვირაში ოთხ დღეს ცეკვის გაკვეთილზე დადის და ძალიან უყვარს მოგზაურობა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ნიუშემი თვითმფრინავებისთვის დეტალებს ამზადებდა. მისი თქმით, ძალიან უყვარდა მუშაობა, მაგრამ ქალიშვილის დაბადების გამო ქარხნიდან დროებით წასვლა მოუხდა.

– თავს ისეთივე ახალგაზრდად ვგრძნობ, თუმცა შეფილდში ყველაფერი შეიცვალა: შენობებმა სიმაღლეში მოიმატეს, ქალაქში გაცილებით ბევრი მანქანა დადის და აღარც ადამიანები არიან ისეთი კეთილები. ადრე მათ ერთმანეთთან ურთიერთობისთვის უფრო მეტი დრო რჩებოდათ, – ამბობს დღეგრძელი ქალბატონი.

საკუთარი დღეგრძელობის საიდუმლოზე საუბრისას ნიუშემმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბრენდი ჩაიში მხოლოდ დილით, პირველ ჭიქაში უნდა ჩაამატო.

ქალი 60 წელი მხოლოდ პეპსის სვამდა

ბრიტანეთის ქალაქ კარშოლტონის მცხოვრები 64 წელი მხოლოდ გაზიან სასმელ პეპსის სვამდა.

77 წლის ჯეკი პეიჯ ამტკიცებს, რომ ჩვეულებრივი წყლით სავსე ჭიქას ახლოსაც არ გაეკარება, თუნდაც წყურვილი კლავდეს. ქალის დილა ცივი გაზიანი სასმელით იწყება და დღეში მინიმუმ ოთხი ქილა პეპსის დალევა შეუძლია.

ბრიტანელმა ამ სასმელს გემო პირველად 1954 წელს გაუსინჯა, როდესაც 13 წლის იყო და მას შემდეგ 93.440 ქილა პეპსი აქვს დალეული.

– ზოგიერთის აზრით, ეს უცნაური გატაცებაა, მაგრამ ჩემთვის ეს სულ ერთია. მე არ ვთვლი, რომ მასზე ვარ დამოკიდებული. ეს, უბრალოდ, გატაცებაა. მე სხვა სასმელები არ მომწონს და მორჩა, – აღნიშნა პეიჯმა.

ამასთან, რატომღაც ქალს მხოლოდ ქილიდან დალევა მოსწონს და არა ბოთლიდან. ადრე მისი შვილები მის ასეთ გატაცებას კიცხავდნენ, მაგრამ, როგორც თავად ქალბატონი ირწმუნება, უკვე 77 წლისაა და თავს სრულიად ჯანმრთელად გრძნობს.

– გულახდილად ვამბობ, თავადაც არ მესმის, რატომ ვცოცხლობ ასე დიდხანს, – ამბობს პეიჯი. მას ოთხი შვილი ჰყავს და ყოველი მშობიარობის დროს წყურვილი ტანჯავდა, ვინაიდან საავადმყოფოში გაზიანი სასმელის შეტანის უფლებას არ აძლევდნენ.

სქელი ტუჩების პატრონმა გოგონამ ალკოტესტის გავლაზე უარი განაცხადა

დიდი ბრიტანეთის მკვიდრმა სკარლეტ ჰარისონმა ალკოტესტერში ჩაბერვაზე უარი განაცხადა, რის მიზეზადაც საკუთარი ტუჩების დიდი ზომა დაასახელა.

ინციდენტი ქალაქ მანჩესტერში მოხდა. პოლიციელებმა 20 წლის გოგონას მანქანა გააჩერეს და შენიშნეს, რომ მას ალკოჰოლის სუნი ასდიოდა. ის აიძულეს, ალკოტესტერში ჩაებერა და შედეგი დადებითი გამოდგა. ამის შემდეგ ჰარისონი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. იქ მას შემოწმება უფრო ზუსტ მოწყობილობაზე უნდა გაევლო, მაგრამ მან ამის გაკეთება ვერ შეძლო მეტისმეტად სქელი ტუჩების გამო, რომელიც ხელოვნურად აქვს დაბერილი.

ჰარისონი ამტკიცებს, რომ ალკოტესტერში ჩაბერვა ოთხჯერ ცადა, თუმცა ის ტუჩებზე მის საკმარისად მჭიდროდ მიდებას ვერ ახერხებდა. ამის შემდეგ მან განაცხადა, რომ განერვიულდა და ტესტის გავლას ვერ შეძლებდა. პოლიციელებმა კი ჩათვალეს, რომ მან სამედიცინო შემოწმება ჩააგდო.

გოგონას ადვოკატმა მეთიუ უოლესმა განაცხადა, რომ რამდენიმე თვის წინ მისი დაცვის ქვეშ მყოფს თავს დაესხნენ, რის შედეგადაც მას ტუჩზე გაუჩნდა ნაიარევი, რაც ტესტის გავლაში ხელს უშლიდა. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ გოგონას უარი არ უთქვამს პოლიციელებთან თანამშრომლობაზე და ტესტის გავლას შეძლებისდაგვარად ცდილობდა.

ჰარისონმა აღიარა, რომ საჭესთან ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფი იჯდა. მას 16 თვით ჩამოერთვა მანქანის მართვის მოწმობა და ჯარიმის სახით 310 ფუნტი სტერლინგის გადახდა დაეკისრა. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ გოგონას მამამ მისი მანქანა მეორე დღესვე გაყიდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

...

ზოოფილი, ნეკროფილი და მაზოხისტი საკანში ერთად სხედან. ზოოფილი ამბობს:

– აუ, ახლა კატა მომცააა...

ნეკროფილი:

– აუ, მკვდარი კატაააა...

მაზოხისტი:

– მიაუუ...

...

ოსს მამა მოუკვდა. ტირის, გლოვობს, ერთ ამბავშია. ამ დროს ტელეფონი რეკავს. აიღებს ყურმილს. ხუთი წუთი უსმენს, ყურმილს დაკიდებს და კიდევ უფრო ხმამაღლა აღრაალდება და თავზე თმებს იპუტავს. ერთ-ერთი მეზობელი ეკითხება:

– რა მოხდა?

– ჩემ ძმასაც მოკვდომია მამაააა...

●●●

ტელეფონი რეკავს. მამაკაცის ხმა კითხულობს:

– უკაცრავად, ეს ცენტრალური საარჩევნო კომისიაა?

– დიახ. რა გნებავთ?

– პრეზიდენტობა მინდა.

– გიჟი ხარ?

– ეგ აუცილებელი მოთხოვნაა?

●●●

ოსს ცხენი დაეკარგება და ამბობს:

– კიდევ კალგი, ზედ ალ ვიჯექი სენი წილიმე.

●●●

მიხოს შვილი სკოლიდან ატირებული დაბრუნდა. მამა ეკითხება:

– დღეს რაღა გატირებს, შე შობელძაღლო?

– ფიზკულტურის მასწავლებელმა ორიანი დამიწერა.

– დებილი ხარ, შე შობელძაღლო? ფიზკულტურაში ორიანი როგორ მიიღე?

– მასწავლებელმა მითხრა, მარჯვენა ფეხი ასწიეო...

– მერე, ვერ ასწიე?

– როგორ არა, ავწიე.

– აბა, რატომ დაგიწერა ორიანი?

– მერე მითხრა, მარცხენა ფეხი ასწიეო...

– მარცხენაც რომ აგეწია, ყ...ზე ხომ არ დადგებოდი?

– ჰოდა, მეც ვუთხარი და...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ანშენი ბუსინ ვან

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა

სიაო ჰუო ლუო დან

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.

ცნობილმა მზარეულმა იდეალური ჰამბურგერის საიდუმლო გაამხილა

ცნობილმა ბრიტანელმა შეფმზარეულმა გორდონ რამზიმ იდეალური ჰამბურგერის დამზადების შესახებ ისაუბრა. საკუთარი რჩევები მან ათწუთიან ვიდეოში წარმოადგინა, რომელიც იუთუბიზე „დილა მშვიდობისა, ამერიკის“ არხზე გამოქვეყნდა.

რამზი ამტკიცებს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ხორცის სწორად შერჩევა. ის ფარშს საქონლის კისრის ან ზურგის ნაწილისგან ამზადებს, რომელსაც ცოტა მკერდის ხორცს ურევს. კვერცხის დამატების შემდეგ მზარეული გატარებული ხორცისგან კატლეტებს ამზადებს და გრილში შეწვამდე ერთი დღე-ღამით აჩერებს.

– როდესაც კატლეტები ცეცხლზე აღმოჩნდება, საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება ნაკლებად შეეხოთ, – განმარტავს რამზი, – რაც უფრო მეტად ეხებით და ამოძრავებთ, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ისინი დაიშლება.

იმავდროულად, მზარეული იმავე გრილზე ფუნთუშებს აცხელებს და ბადეზე აწყობს ხახვს, რომელსაც ის იდეალური ჰამბურგერის მნიშვნელოვან ინგრედიენტად მიიჩნევს.

სანამ კატლეტები იწვება, ის მათ ორივე მხრიდან გამდნარ კარაქს უსვამს. მისი აზრით, კარგი იქნება, თუ კარაქს რაიმეს შეურევთ საკუთარი გემოვნებით, მაგალითად, წითელ ღვინოს ან ჩიპოტლეს (პოპულარული მექსიკური სანელებელი, შებოლილი წიწაკა ხალაპენიო).

შეფმზარეულის ბოლო საიდუმლო ჰამბურგერის სწორად აწყობაა. კატლეტების გარდა, ის შედგება გაფიცხებული ფუნთუშების წყვილისგან, რომელსაც ბლომად მაიონეზი აქვს წასმული, სალათის ფოთლებისგან, ახლად შემწვარი ხახვისგან, ყველის და პამიდვრის ნაჭრისგან. ჰამბურგერის აწყობა მაშინვე უნდა მოხდეს, როგორც კი კატლეტს ცეცხლიდან გადმოიღებთ, ამიტომ, უკეთესი იქნება, თუ ინგრედიენტებს ადრევე მოამზადებთ.

– ეს მეტად მნიშვნელოვანი რჩევაა, – ამბობს რამზი, – რატომ? ასე ჰამბურგერი გაცივებას ვერ ასწრებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. დიდი ციმბირული ირემი; 7. გეომეტრიული სხეული; 8. საწერად დამუშავებული ტყავი; 10. სიმებიანი საკრავი; 11. სარტყმელი მუსიკალური საკრავი; 13. შაქრის ლერწმის მჭრელი; 16. მქუხარე ტაში; 19. რისამე ნაირსახეობა; 20. მექანიკის ნაწილი.

შვეულად: 1. იატაკის საცხი; 2. ზეგანი; 3. თითის ამოკვრით უხემოდ დაკვრა; 4. წყალხმელეთა ცხოველი; 5. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 9. სამხედრო ჩინი; 12. ხეივანი, პროსპექტი ესპანეთში; 14. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 15. ყვავილი; 17. თვალის ფერადი გარსის ანთება; 18. საჰაეროსთან დაკავშირებული წინსართი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ